# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 7 მაისი 2003 №81 (1852) ფასი 50 თეთრი

თავისუფალი მასმედიის შენარჩუნება ქართული დემოკრატიის გადარჩენაა!
საქართველოს გამომცემელთა და მაუწყებელთა ასოციაცია „თავისუფალი პრესა“

UEFA CHAMPIONS LEAGUE

## ვიყოთ რეალისტები: იუვენტუსმა ტურინში ფინალის შანსი წაიღო




REUTERS [illegible]

რეალი – იუვენტუსი 2:1. დავიდ ტრეზეგეს გოლმა წმინდა იტალიური ფინალის ალბათობა გაზარდა



[illegible] ფოტო

## მილანი VS ინტერი

## კახა კალაძე: ინტერს ორი თამაში უკვე მოვუგეთ, დღეს მესამეა...

მილანის ქართველი ფსიქოლოგიურ უპირატესობაზე ლაპარაკობს

ინტერვიუ კახა კალაძესთან იხილეთ მეორე გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემპიონთა ლიგა 2002-2003
### ნახევარფინალი. პირველი მატჩი

**რეალი 2:1 იუვენტუსი**

1:0 რონალდო (23), 1:1 ტრეზეგე (45), 2:1 რობერტო კარლოსი (73)
რეალი: კასილიასი, სალგადო, იერო, ელგერა, რობერტო კარლოსი, ფიგუ, მაკელელე, გუტი, ზიდანი, რონალდო (პორტილიო 50), მორიენტესი (სოლარი 79)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, ფერარა, იულიანო (პესოტო 46), ბირინდელი, ძამბროტა, ტუდორი (კამორანეზი 80), კონტე, ნედვედი (დი ვაიო 82), დელ პიერო, ტრეზეგე
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
გაფრთხილება: ბირინდელი, იულიანო, ძამბროტა, კონტე, ფერარა
მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)
75 000 მაყურებელი

*საპასუხო მატჩი გაიმართება 14 მაისს*

# მოსალოდნელი რონალდო: გოლიც და ტრავმაც
## გაუთვალისწინებელი ტრეზეგე

**ვინც ელოდა**, რომ ფინალისტის ვინაობა პირველივე მატჩში გაირკვეოდა, არ გაუმართლა. 2:1 ის ანგარიში არ არის, „რეალს" საქმეს მოთავებულად რომ ჩაათვლევინებს, ხოლო „იუვენტუსს" იმედს გადაუწურავს.

საერთოდაც, რომელ იმედის გადაწურვაზეა ლაპარაკი, როცა ტურინელებს საპასუხო შეხვედრაში 1:0 აძლევთ ხელს და მოგეხსენებათ, „ბებერი ქალბატონი" სწორედ ერთით ნულების მოყვარულია. მეორე მხრივ კი, „რეალისთვისაც" არ არის წარმოუდგენელი ამბავი „დელე ალპიზე" თუნდაც ერთი გოლის გატანა. მოკლედ, პროგნოზის გაკეთება ფრიად საფრთხილო საქმეა, ამიტომ უმჯობესია, გუშინდელ მატჩს მივუბრუნდეთ.

„იუვენტუსი", რომელსაც საზოგადოდ ჩინებული დაცვა ჰყავს, საიმედოდ თამაშობდა, თუმცა შესვენებამდე ორი შეტევა მაინც გაეპარა, ჯერ რონალდოსი, მერე ფერნანდო მორიენტესისა. დაახლოებით თანაბრად სახიფათო ეპიზოდები იყო, რომელთაგან რონალდოსი გოლით დასრულდა, მორიენტესმა კი დარტყმის შესაძლო მიმართულებებიდან ყველაზე ცუდი აირჩია. ვინძლო აქედანაც ჩანს, თუ რატომ აქცია რონალდომ მორიენტესი სათადარიგო ფეხბურთელად, რომელიც გუშინ მოედანზე მხოლოდ და მხოლოდ რაულის ავადმყოფობის გამო გავიდა.

„იუვენტუსის" დაცვა ვახსენეთ და სტუმრებს ურიგოდ არც შეტევაში უთამაშიათ, თუმცალა ნაღდი მომენტი რასაც ჰქვია, ვერ შექმნეს და თითქოს ტაიმიც მადრიდელთა ერთბურთიანი უპირატესობით უნდა დასრულებულიყო. მაგრამ ტაიმის ბოლო წუთზე „რეალისთვის" გაუთვალისწინებელი, „იუვენტუსისთვის" კი სასურველი რამ მოხდა: ალესანდრო დელ პიეროს დარტყმული ბურთი მიჩელ სალგადოს მოხვდა, დავიდ ტრეზეგეს მიუვიდა და ფრანგს არ გაეტანა, არ იქნებოდა. ამგვარად, შესვენებაზე გასახდელისკენ მიმავალ ვისენტე დელ ბოსკეს მოფიქრებული სიტყვები და გეგმები აერია.

არევა მერე უნდა გენახათ: გასახდელიდან გამოსულმა რონალდომ სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა — მან ფეხი იტკინა და მის მაგიერ მწვრთნელმა ყმაწვილი ხავიერ პორტილიო შეუშვა. კი, პორტილიოს უდიდესი დამსახურებაა, „რეალი" საერთოდ ჯგუფიდან რომ გავიდა, მაგრამ მან ამ შეხვედრაში რონალდოობა ვერ გასწია და სანამ „რეალი" ურონალდოობას შეეგუებოდა, მის იერიშებსაც სიმწვავე მოაკლდა. ჰოდა, „იუვენტუსმაც" ერთ ხანს ზურგი უსაფრთხოდ იგრძნო და მასპინძელთა კარს მიაწყდა. იფიქრებდით, ფრე „რეალს" აწყობს, „იუვეს" კი უთუოდ მოგება სჭირდებაო.

მაგრამ „რეალმა" ნელ-ნელა თამაში გამოასწორა, გაათანაბრა და უპირატესობასაც დაეუფლა. მარცხნიდან რობერტო კარლოსი, შუიდან ზიდანი, მარჯვნიდან კი ფიგუ მალი-მალ აწრიალებდნენ ტურინელთა დაცვას და მეკარე ბუფონს, რომლის კარიც ორიოდე ეპიზოდში სასწაულით გადაურჩა გოლს.

თუმცა, საბოლოოდ „იუვენტუსი" მაინც ვერ გადარჩა — რობერტო კარლოსმა ჩვეული ყუმბარა-დარტყმით შორეულ დაბალ კუთხეში ჩაჭედა ბურთი და იტალიელები ვერც თანამსაჯის ზეალმართულმა ალამმა იხსნა — დარტყმისას სამი რეალელი ოფსაიდში კი იყო, მაგრამ არბიტრის აზრით, სამივენი პასიურში, ანუ თავისი წინ ყოფნით გოლში წვლილი არ შეუტანიათ.

ნამატჩევს ტურინელებმა ძველი ძმაკაცი, ზინედინ ზიდანი გულიანად გადაკოცნეს და ერთი კვირით დაემშვიდობნენ.



კახა კალაძეს სირჯიო კონსეისაუსთან ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალშიც მოუწევს ბრძოლა



რონალდოს ფეხში იმდენჯერ მოხვდა, შესაცვლელი შეიქმნა

# ჩვენი სასწორი უფრო მძიმეა
## კახა კალაძე ფსიქოლოგიურ უპირატესობაზე ლაპარაკობს

*იტალიურ „მილანსა" და კახა კალაძეს დღეს დიდი მატჩი ელით — ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის პირველი შეხვედრა თანაქალაქელ „ინტერთან". ცალკე „მილანის", ცალკე „ინტერის" ქომაგთა შორის საომარი განწყობაა, ომისთვის ემზადებიან მთლიანად იტალიაშიც... თითქოს სერია ფ-ში ამ გუნდების დერბი არ კმაროდა, ახლა ლიგის ნახევარფინალშიც მოუწევთ ერთმანეთთან შებმა*

— რომ ვთქვა, „მილანი" ამ მატჩისთვის განსაკუთრებით ემზადებაო, გადაჭარბებული იქნება, თუმც არც უამისობაა. ქალაქი კი ორადაა გაყოფილი, წითელ და ლურჯ ფერებად. ქომაგები ჯგუფ-ჯგუფად დადიან ქუჩებში. ჯერჯერობით ლეწვა-მტვრევის ხმა არ ისმის, მაგრამ, ალბათ ხვალ ესეც იქნება.

**— „მილანს" სკუდეტოს მოგების შანსი აღარ აქვს. დაგრჩათ ჩემპიონთა და ნაკლებმნიშვნელოვანი იტალიის თასები. ინტერთან მატჩის წინ რაიმე ზეწოლას ხომ არ გრძნობთ?**

— ამ მხრივ ჯერჯერობით სიმშვიდეა, თუმც ჩვენც კარგად ვიცით, რომ „ინტერთან" თუ წავაგეთ, სეზონს უტიტულოდ დავამთავრებთ. იტალიის თასი ხომ ჩემპიონთა ლიგის მოგებასა და სკუდეტოს მნიშვნელობით ვერ შეედრება. უნდა მოვიგოთ — ეს ომია. ფსიქოლოგიური განწყობა ჩვენი უკეთესია. „ინტერი" ბოლო დროს დაჩაგრული გვყავს და ნახევარფინალშიც ასე უნდა იყოს.

**— წინა ტურში მწვრთნელმა დაგასვენა?**

— დიახ, ნაკრების მატჩის მერე გადაღლილი ვიყავი და „კომოსთან" სულ რამდენიმე წუთი მათამაშა.

**— ხვალ ძირითადში იქნები?**

— ვერ გეტყვით, ანჩელოტის შემადგენლობა ჯერ არ გამოუცხადებია.

**— თბილისიდან დაბრუნებულს „მილანში" როგორ შეგხვდნენ?**

— მთელი გუნდი მილოცავდა რუსების დამარცხებას, განსაკუთრებით ანდრეი შევჩენკო. აქ კარგად იცოდნენ, საქართველოსთვის რუსეთის დამარცხებას როგორი მნიშვნელობაც ჰქონდა.

**ძობა ინასარიძე**

### გერმანია

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა**
**გადადებული მატჩი**

ლევერკუზენი (მ) 1:1 მიუნსტერი

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა**
**XXX ტური**

ვერდერი (მ) 0:0 დინამო

### ჰოლანდია

**I დივიზიონი. გადადებული მატჩი**

ბრედა 2:0 ზვოლე

### შვედეთი

**V ტური**

იურგორდენი 3:1 გიოტებორგი

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. ნახევარფინალი. პირველი მატჩი

## მილანი – ინტერი

მილანი. „სან სირო“. მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

### სავარაუდო შემადგენლობები

დიდა; კოსტაკურტა (ან შიმიჩი), ნესტა, მალდინი, კალაძე; გატუზო, ბროკი (ან რედონდო), ზეედორფი; რუი კოშტა; შევჩენკო, ინძაგი

ტოლდო; ხ. ძანეტი, კანავარო, მატერაცი, კორდობა; ს. კონსეისაუ, დი ბიაჯო, ემრე, მორფეო (ან გული); კრესპო, რეკობა

დისკვალიფიცირებულნი: *მილანი:* მასიმო ამბროზინი (1 მატჩი); *ინტერი:* კრისტიანო ძანეტი (1 მატჩი)



რაც გინდა მოხდეს — ფინალში სანსიროელები გავლენ



„ინტერის“ საჯარიმოს ფაბიო კანავარო დაიცავს, „მილანისას“ — ალესანდრო ნესტა

# ეს არასდროს მომხდარა

## ყველაფრის მნახველ მალდინის არ ახსოვს

## ნესტას კარიერის მთავარი მოვლენა

# მილანი VS ინტერი

*რაც ჩემპიონთა თასი, ბოლო ათწლეულში კი ჩემპიონთა ლიგა არსებობს, პირველად ხდება, რომ სტადიონში ჩაზიარებული გუნდები ერთმანეთს გადაეყარნენ. ამ გარემოებამ კი სტუმარ-მასპინძლების საკითხი პირობითად აქცია და ოდენ ოქმისთვის დატოვა.*

*ასევე პირველად ხდება, რომ სახელგანთქმული მილანური დერბი სერია A-ს და იტალიის ფარგლებს გასცდა. „მილანი“ და „ინტერი“ ევროთასებზე არასდროს შეხვედრიან ერთმანეთს. და საერთოდაც, რაგინდარა საერთაშორისო შეჯიბრებაზე „მილანს“ არასდროს უთამაშია იტალიურ კლუბებთან. ხოლო „ინტერს“ სამჯერ უთამაშია საევროპოდ თანამემამულეებთან საზიარო „სან სიროზე“, სამჯერვე მოუგია და ერთი გოლიც არ გაუშვია.*

პოდა, რა გასაკვირია, ყველაფრის მომსწრე და მნახველი „მილანის“ ბებერი კაპიტანი პაოლო მალდინი რომ ამბობს, ოთხშაბათს სრულიად უნიკალურ მატჩში მიწევს თამაშიო.

„უცნაური რამ ხდება — თქვა მალდინიმ, ვინაც მილანურ დერბიში პირველად 18 წლის წინ ითამაშა — ჩვენი თამაში აქამდე არასდროს განუსჯია უცხოელ არბიტრს და არასდროს გაგრძელებულა 180 წუთს, ახლა კი ასე იქნება. იტალიის თასზე კი შევხვედრილვართ ორმატჩიან დაპირისპირებაში, მაგრამ იმის ახლანდელ ბრძოლასთან შედარება არც შეიძლება“.

მოვლენებს გავუსწროთ და აღვნიშნოთ, რომ ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი ფინალი, 28 მაისს მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდზე“, ეგებ წმინდა იტალიურიც გამოდგეს, თუ რა თქმა უნდა, „იუვენტუსმა“ გააგდო „რეალი“.

ისევ მალდინი: „ოთხშაბათის მატჩს ფინალივით უნდა მივუდგეთ. „მილანი“ და „ინტერი“ ერთმანეთს რაღაც ახალ სისუსტეებს ვერ უპოვიან, ჩვენ ძალიან კარგად გვყავს ერთმანეთი შესწავლილი. ამიტომ მგონია, რომ ვინც ხასიათის მეტ სიმტკიცეს გამოავლენს, გამარჯვებაც იმას დარჩება. ჩემი თანაგუნდელების ამბავი რომ ვიცი, ბრძოლისუნარიანობაში ვერავინ გვაჯობებს.“

ბოლო წლებია, „მილანი“ სჯობნის „ინტერს“, ამ სეზონში კი იტალიის ჩემპიონატში ორივე მატჩი მოუგო. მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს — ყოველ შემთხვევაში, „ინტერის“ კაპიტანი ხავიერ ძანეტი ასე ფიქრობს: „რატომღაც უმრავლესობას ფავორიტი „მილანი“ ჰგონია, მე კი ჩვენს შორის დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ, თუნდაც იმიტომ, რომ სერია A-ში ბოლო ორი თამაში დაუმსახურებლად წავაგეთ. დარწმუნებული ვარ, ჩვენს გულშემატკივარს კიდევ ერთხელ დაღონების საბაბს აღარ მივცემთ. პირველიდან ბოლო წუთამდე თავდაუზოგავად ვიბრძოლებთ, რადგან თავს ოდნავ მოდუნების უფლება თუ მიეცი, მილანურ დერბის ვერ მოიგებ“.

„ინტერის“ არგენტინელი კაპიტანი „მილანის“ ფავორიტობას რომ ახსენებს, საამისოდ ხალხს ერთი არგუმენტიც აქვს: შემადგენლობები. საქმე ისაა, რომ „მილანს“ ყველა წამყვანი ფეხბურთელი ფორმაში ჰყავს, ხოლო „ინტერს“ სერია A-ს ბომბარდირი კრისტიან ვიერი დააკლდება, ვისაც მუხლის ტრავმა სტანჯავს.

მაგრამ მეორე მხრივ, ვიერის არყოფნა ეგებ არც იყოს სასიკვდილო დარტყმა „ინტერისთვის“, რაკი ექტორ რაულ კუპერი შეტევაში არგენტინელ ერნან კრესპოს და ურუგვაელ ალვარო რეკობას უპირებს შეწყვილებას, რაც უთუოდ დიდი ძალაა.

კუპერს მთავარი პრობლემა ნახევარდაცვაში აქვს, სადაც დისკვალიფიკაციის გამო დააკლდება კრისტიანო ძანეტი, მისი სავარაუდო შემცვლელი, ფრანგი სტეფან დალმა გუშინდელ ვარჯიშზე დაშავდა. ეს ნიშნავს, რომ სავარაუდოდ ლუიჯი დი ბიაჯოს ნახევარდაცვის ცენტრში თურქი ემრე შეუწყვილდება, ფლანგზე კი კუპერი დომინიკო მორფეოს ან არგენტინელ გულის გაამწესებს.

„მილანს“, მოგეხსენებათ, სავარაუდოზე ადრე დაუბრუნდნენ ანდრეა პირლო და კლარენს ზეედორფი, თუმცა პირლო თამაშის დაწყებას ალბათ სათადარიგოთა სკამზე შეხვდება.

შეტევაში კი ასეთი ვითარებაა: კარლო ანჩელოტი ფორვარდებად ანდრეი შევჩენკოს და ფილიპო ინძაგის გაამწესებს, მათ უკან ვინ ითამაშებს, ეს კი ჯერ ვერ გადაუწყვეტია. თავდამსხმელთა პასებით მომარაგება ალბათ მაინც მანუელ რუი კოშტას დაევალება, თუმცა ბოლო წამს მწვრთნელმა ეგებ რივალდო ან სერჟინიო აჯობინოს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ წინა მილანური დერბებისას სერჟინიომ სისხლი გაუშრო ინტერელებს.

საანონსო ამბები ეს არის, ისიც შეგვიძლია დავძინოთ, რომ თუ „მილანი“ „ინტერს“ ორი მატჩის ჯამში დაამარცხებს, კახა კალაძე ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასული პირველი ქართველი ფეხბურთელი გახდება.

ბოლოს კი რამდენიმე მატჩისწინა კომენტარიც მოვისმინოთ.

ალესანდრო ნესტა, „მილანის“ მცველი: „ეს ჩემი კარიერის უმნიშვნელოვანესი მატჩია, თან ჩემს მეგობარ ერნან კრესპოს ვნახავ, რა ხანია, მინდორზე არ გადავყრივარ. კრესპო დიდი ფეხბურთელია, სამაგიეროდ ჩვენ ფილიპო ინძაგი გვყავს. მართალია, პიპო ზიდანივით ელეგანტური არ არის, მაგრამ უდიდესი სარგებლობა მოაქვს“.

კახა კალაძე, „მილანის“ მცველი: „ურთულეს შეხვედრას ველი. მეტოქის შესაძლებლობებში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ მთავარია, საკუთარ თამაშზე გავამახვილოთ ყურადღება. ანჩელოტი სასტარტო შემადგენლობაში ვის ათამაშებს, არ ვიცი, კუპერი კი, ვფიქრობ 4-4-2 სქემას აირჩევს, სეზონის დაწყებიდან ხომ ამ განლაგებისთვის არ უღალატია“.

არიგო საკი, „მილანის“ ყოფილი მწვრთნელი: „იტალიურ კლუბთაგან „მილანი“ ყველაზე ახლოსაა მსოფლიოს სტანდარტებთან. ლიგის ჯგუფურ ეტაპზეც ის საუკეთესო გუნდი იყო. როცა „აიაქსმა“ ბოლო წუთზე გაუტანეს, სიხარულისგან გიჟივით ვხტოდი. ის უმძიმესი მატჩი იყო ანჩელოტისთვის, რადგან ბევრი ფეხბურთელი აკლდა. ახლა ვითარება გამოსწორდა და ეს მახარებს“.

კლარენს ზეედორფი, „მილანის“ ნახევარმცველი, ყოფილი ინტერელი: „მილანის“ ისტორიაში ეს უმნიშვნელოვანესი დერბია და მიხარია, რომ თამაშს შევძლებ. ტრავმის მერე „აიაქსთან“ ჩემი მდგომარეობა შევამოწმე და კმაყოფილი დავრჩი. ოღონდ ჯერ არ ვიცი, მწვრთნელი სასტარტო შემადგენლობაში მათამაშებს თუ შეცვლაზე შემიყვანს. ისე კი, ფრთხილად უნდა ვიყოთ. „ინტერი“ აღარც სკუდეტოსთვის იბრძვის და აღარც იტალიის თასისთვის და ლიგა მისთვის ბოლო შანსია. ვიერის არყოფნაც არაფერს ნიშნავს, კრესპო არანაკლები ფეხბურთელია“.

ფრანჩესკო ტოლდო, „ინტერის“ მეკარე: „დიდი ბრძოლა გველის. სანახაობრივადაც კარგი თამაში უნდა გამოვიდეს. ოღონდ ამ სანახაობრიობამ მეტისმეტადაც არ უნდა გაგვიტაცოს, იმიტომ რომ ერთი შეცდომა შესაძლოა ძვირფასი აღმოჩნდეს. ვიცი, რომ „მილანს“ შეტევაში ინძაგი, შევჩენკო და რუი კოშტა ეყოლება, მაგრამ ნაკლები ბიჭები არც ჩვენ გვყავს“.

ჯაჩინტო ფაკეტი, „ინტერის“ ვიცე-პრეზიდენტი: „ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში თანაქალაქელები არასდროს შეხვედრიან. ეს პირველი შემთხვევაა, რითაც მთელი მილანი უნდა ამაყობდეს“.

დღეს 254-ე მილანური დერბია.

**გიორგი დარჯანია**





კარლო ანჩელოტი ექტორ კუპერს სულ ჯაბნის





მასპინძელთა კარზე დაგეშილ ერნან კრესპოს კი პაოლო მალდინი გადაეღობება

# ...და ან ცაზე ვარსკვლავები

## ვალენტინო მაცოლა სანდრო



*ეს ამბავი მილანში, „ალფა რომეოს“ ქარხნის გუნდში დაიწყო, 1939 წელს კი ვენეციის სამხედრო ქვედანაყოფში გაგრძელდა — ყმაწვილი ვალენტინო მაცოლა ჯარში გაიწვიეს. ფეხბურთს ის ქარხანაშივე კარგად თამაშობდა და სამხედროებსაც სწორედ ეს უნარი ეცათ თვალში. თან, ვენეციაში ძალიან საინტერესო გუნდი იკვრებოდა — 1941 წელს იტალიის თასიც კი მოიპოვა. ვალენტინო გუნდის ერთ-ერთ გამორჩეულ ფიგურად იქცა.*



## სუპერგას ოჯახი



ვალენტინო მაცოლა

მერედა, ქვეყნად საინტერესო დამთხვევები ხდება. ვენეციის გუნდში თამაშობდა თავდამსხმელი ეციო ლოიკიც. მას და ვალენტინოს ტყუპებს ეძახდნენ. ისინი განუყრელი მეგობრები იყვნენ, მეტოქეთა კარს ერთად უტევდნენ და რაც ყველაზე საინტერესოა, ერთ წელიწადს, მეტიც, ერთ თვეს და კიდევ უფრო მეტიც, ერთ დღეს იყვნენ დაბადებულნი.

1942 წელს მაცოლა და ლოკი ერთად წაიყვანა „ტორინომ“.

„ტორინოს“ მაშინ დიდ გუნდს, „ილ გრანდე ტორინოს“ ეძახდნენ. უფრო სწორად, „ილ გრანდე ტორინო“ იმიტომ შემარქვეს, რომ მაცოლამ, ლოკიმ და სხვა ნიჭიერმა ბიჭებმა ხუთი სკუდეტო და ქვეყნის თასი ორჯერ მოიგეს. ვალენტინო მაცოლამ, როგორც გამორჩეულმა, სერია A-ს შეხვედრებში ასზე მეტი გოლი გაიტანა, თან გაითვალისწინეთ, ეს ყველაფერი იმ ეპოქაში მოხდა, როდესაც ფეხბურთი და მშვიდი ცხოვრება ერთი ხნით მეორე მსოფლიო ომმა შეწყვიტა.

„ფეხბურთი მარტივი თამაშია — ამბობდა მაცოლა — სანამ ფანტაზიორობ, სულ გაიმარჯვებ. თუ შენი მოქმედება გაამრავალფეროვნე, დინამიკური გახდები. კლასიკური სვლები იმპროვიზაციით უნდა გაამდიდრო, თუმც თანამედროვე ფეხბურთში ყველაფერზე მაღლა გუნდური თამაში დგას“.

მაცოლას ცხადია ნაკრებშიც იწვევდნენ. პირველად 1942 წელს ჩაიცვა მაისურა — აძურა. იმ დღეს იტალიამ ხორვატიას 4:0 მოუგო, — ხოლო მისი ფეხმძიმე მეუღლე ამ თამაშს რადიოთი უსმენდა. ოთხ თვეში, 8 სექტემბერს ვალენტინოს ვაჟი, სანდრო შეეძინა.

სანდრო მამის თილისმად იქცა. ვალენტინომ ლამის იყო სამშობიაროშივე ჩააცვა ბუცები და სავარჯიშოდ გააქცუნა.

ამბობენ პატარები ყველაფერს გრძნობენო.

...1949 წელს „ტორინომ“ მორიგი სკუდეტო მოიპოვა, 4 მაისს ბიჭები თვითმფრინავში ჩასხდნენ და შინისკენ გაეშურნენ. განუყრელი მეგობრები, ვალენტინო მაცოლა და ეციო ლოკი ბუნებრივია, ერთად და იმ თვითმფრინავში იყვნენ. თვითმფრინავი სუპერგას მთას შეასკდა.

დიდი მამის კომპლექსი ცნობილი ფენომენია. ფეხბურთელი ხარ თუ სხვა ხელობის ადამიანი, სულერთია, როდესაც მამაშენის პროფესიას ირჩევ, ის კი ბუმბერაზია, მთასავით გადგას თავს...

სანდროს მამა თავს არ ადგა, ის მას გრძნობდა. სანდრო მაცოლამ „ინტერში“ დაიწყო თამაში და ბოლომდე ამ კლუბს უერთგულა.

არადა, დებიუტი უიღბლო ჰქონდა: 1961 წლის 10 ივნისს „იუვენტუსმა“ 9:1 ჩამოამხო თავს. თუმცა, როდესაც კაცი ვარსკვლავად არის შობილი, თავის გზას გაიკვლევს — მაცოლა „ინტერის“ ისტორიაში უდიდეს მოთამაშედ, მის სახედ ჩამოყალიბდა.

სამოციან წლებში „ინტერი“ დიდი წარმატებებისთვის ემზადებოდა, ოღონდ რაღაც აკლდა, ნაპერწკალი ალბათ ეს, ნაპერწკალი სანდრო მაცოლა გამოდგა: ოთხი სკუდეტო, ზედიზედ ორჯერ ჩემპიონთა თასი და ზედიზედ ორჯერ საკონტინენტთაშორისო თასი. ამას ელინიო ერერას შექმნილ „ინტერზე“ მოგახსენებთ, „ილ გრანდე ინტერზე“.

1977 წლამდე სანდრო მაცოლამ სერია A-ში 400-ზე მეტი შეხვედრა ჩაატარა და 116 გოლი გაიტანა, ხოლო ნაკრებში... ამბობენ, ნაკრებში მაცოლას მაინც „მილანის“ ოქროს ბიჭი ჯანი რივერა ჩრდილავდაო. რივერა რივერაა, რად უნდა ლაპარაკი, მაგრამ დაჩრდილვაც ცოტა უხერხული სიტყვაა, რადგან დაჩრდილულ კაცს ეროვნულ გუნდში 77 თამაშს არავინ ათამაშებს, დაჩრდილულ კაცს 22 გოლი არ გააქვს და დაჩრდილული კაცი ევროპის ჩემპიონი არ ხდება — 1968 წელზე მოგახსენებთ.

1977 წელს სანდრო მაცოლამ ფეხბურთის თამაშს თავი დაანება, მაგრამ „ინტერშივე“ დარჩა, კარგა ხანს კლუბში სხვადასხვა საქმით იყო დაკავებული, სანამ... „ტორინოს“ ოფისიდან არ დაურეკეს. „ტორინო“ რაღაც თანამდებობას სთავაზობდა და მაშინ, მაცოლამ ცხოვრებაში პირველად დასტოვა მილანი, „სან სირო“, თუ გნებავთ „სტადიო ჯუზეპე მეაცა“.



სანდრო მაცოლა

„ყოველთვის, როდესაც იმ დღეზე ვფიქრობ, სხეულში რაღაც ძალიან მტკივდება და წამლით ვერ ვშველი. ამიტომ ვცდილობ გონება მუდამ სხვა რამით მქონდეს გართული, მაგრამ გაზაფხულობით, ტრაგედიის წლისთავზე, ველარსად გავრბივარ“. — ამბობს 61 წლის კაცი, იტალიური ფეხბურთის ერთ-ერთი სიმბოლო, ლეგენდა, უდიდესი ფეხბურთელი.

...ახლა კვირას, ტურინში 50 ათასი ადამიანი გამოვიდა გარეთ. ისინი „სტადიო ფილადელფიასთან“ შეიკრიბნენ და სან კარლოს მოედნისკენ გაეშურნენ. მათი საყვარელი გუნდი „ტორინო“ გასულ შაბათს სერია A-დან გავარდა და ისინიც ქალაქის ქუჩებს მოედნენ რათა განეცხადებინათ, რომ „ბროწეულისფრებს“ გასაჭირში არ მიატოვებდნენ. ჟურნალისტებმა დემონსტრანტთა შორის ძველი ფეხბურთელებიც შენიშნეს...

**ბაჩუნა ძიძია**

# გაუგებრობა გაკაფულ გზაზე

„თუ ეს მართალია, ძალიან დაგვწყდება გული, მაგრამ სანამ ყველაფერს არ შევამოწმებთ, ნერვიულობას აზრი არ აქვს“ — განაცხადა იაპონური კლუბის, „იოკოჰამა F-მარინოსის“ პრესმდივანმა მასამი კიმურამ.

ეს — კაფუს „მარინოსში“ გადასვლაა. ბრაზილიელი დღეს „რომას“ ფეხბურთელია, რომელიც, გავრცელებულ ცნობათა თანახმად, ზაფხულში, 3,5 მილიონი დოლარის საფასურად იოკოჰამაში უნდა გადაბარგებულიყო, მაგრამ ერთ-ერთი იტალიური ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში 32 წლის მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა განაცხადა, ჯერ კიდევ ვყოყმანობ.

კაფუ: „ჯერჯერობით ხელი არაფრისთვის მომიწერია“.

კიმურა: „უნდა გამოვიკვლიოთ სინამდვილეში რა თქვა კაფუმ. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მან ფორმალურ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი და საბუთი ფაქსით გამოაგზავნა“.

„მარინოსის“ პრეზიდენტი, შიგეო პიდარიმოტო კი დარწმუნებულია, რომ ყველაფერი უახლოეს 10 დღეში გაირკვევა. მისთვის ადვოკატებს უთქვამთ, რომ ხელმოწერილი ფორმალური კონტაქტიც კონტრაქტია და კაფუ ვალდებულია 1 ივნისიდან ორწელიწადნახევრით იოკოჰამაში გადასახლდეს.

ცნობისთვის: იოკოჰამას საერთაშორისო სტადიონი ბრაზილიელისთვის არც უცხოა და არც უიღბლო. სწორედ აქ მოიგეს მან და მისი ქვეყნის ეროვნულმა გუნდმა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული, როდესაც ფინალში გერმანიის ნაკრებს 2:0 სძლიეს, თავად კაფუმ კი ჯილდო აღმართა.

კიმურა: „უშუალოდ კაფუსგან არაფერი გვსმენია“.

ასე და ამგვარად, იოკოჰამაში შეშფოთდნენ. როგორც ჩანს, ბრაზილიელს პირის ტეხვა განუზრახავს, რაც, ვფიქრობთ, იმის ბრალი უნდა იყოს, რომ „რომასაც“ მოუნდა თავის მოთამაშესთან კონტრაქტის განახლება და „მილანმაც“ გამოიჩინა მცველისადმი ინტერესი.

**ბაჩუნა ძიძია**



კაფუმ იოკოჰამაში მსოფლიოს ჩემპიონობა მოიგო და შესაძლოა, იქ კვლავაც დაბრუნდეს

*ეკვადორელი მსაჯი ბაირონ მორენო, რომელმაც, კარგად გეხსომებათ, მსოფლიოს ჩემპიონატზე კორეის მიერ იტალიის ნაკრების გაგდებაში დიდი წვლილი შეიტანა, გასულ უქმეებზე მოედანს დაუბრუნდა – მას 20-მატჩიანი დისკვალიფიკაცია ჰქონდა მისჯილი.*

# ბაირონი თავისას არ იშლის

**ამჯერად** მორენომ „უნივერსიდად კატოლიკასა“ (ნუ აურევთ ამ გუნდს იმავე სახელწოდების ჩილეს გუნდში) და „აუდას ოქტუბრინოს“ შეხვედრა განსაჯა, რომელშიც ერთი ფეხბურთელი გააძევა, ექვსი გააფრთხილა და პენალტიც დანიშნა. ერთი სიტყვით, ისევ ფრიად საეჭვოდ და მეტისმეტად უხეშად ჩაერია თამაშში. ხსენებული გუნდები მეორე დივიზიონში გამოდიან.



თამაში „უნივერსიდად კატოლიკამ“ 5:1 მოიგო, ხოლო მისი ქომაგები იქაური გაზეთების ცნობით, მორენოს მთელი შეხვედრის განმავლობაში აგინებდნენ.

ახლა გავიხსენოთ, რატომ დასაჯა ეკვადორის ფეხბურთის ფედერაციამ მორენო 20 თამაშით: ეს 10 სექტემბერს მოხდა, როდესაც „ლიგა დე კიტოსა“ და იქაური „ბარსელონას“ თამაშს 12 წუთი დაამატა, რათა „ლიგა დე კიტოს“ 4:3 მოეგო. მაშინ „ბარსელონამ“ პროტესტი დაწერა, ხოლო კლუბის პრეზიდენტმა ლეონარდო ბორერმა საჯაროდ გამოაცხადა, რომ მსაჯი კიტოს გუნდს ადგილობრივი ამომრჩევლის საამებლად ეხმარებოდა — ოქტომბერში ეკვადორის დედაქალაქში საკრებულოს არჩევნები ჩატარდა, სადაც მორენოც იყრიდა კენჭს.

არადა მუნდიალზე კორეისა და იტალიის ნაკრებთა შეხვედრის შემდეგ, ანუ მას მერე, რაც მორენომ „სკუადრა აძურას“ ფრანჩესკო ტოტი გაუძევა და გოლი არ ჩაუთვალა, ეკვადორული პრესა თანამემამულე მსაჯს მთელი გულით იცავდა, ხოლო შემოდგომაზე ამ ქვეყნის ეროვნული პირველობის დაწყების დღეს, მის გამოჩენაზე მთელი სტადიონი წამოდგა და ოვაცია მოუწყო.

და ბოლოს, მორენომ ოქტომბერში არჩევნები წააგო.

**ბაჩუნა ძიძია**

# არ მოვიდა! მიდის?

ორშაბათს ბიჭებმა წაიზეიმეს, თუმცა ეს ოფიციალური აღნიშვნა არ იყო. უბრალოდ, ძალიან გაუხარდათ „არსენალის“ მარცხი და შესაბამისად, მერვე ჩემპიონობა ბოლო 11 წელიწადში.

ცხადია, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელებზე ვსაუბრობთ. ისინი ორშაბათ საღამოს კლუბის ერთ-ერთ დარბაზში შეიკრიბნენ და კარგადაც მოილხინეს. ყველანი არ იყვნენ — პოლ სქოულზი საერთოდ იშვიათად ესწრება მსგავს წვეულებებს და ოჯახში ყოფნას ამჯობინებს; როი კინი და ოლე გუნარ სოლსკიაერი კი პირიქით, დიდად მომლხენ ბიჭებად ითვლებიან, თუმცა ამჯერად დასვენება ირჩიეს; აი, დევიდ ბექემი კი...

უკვე თანხასაც ასახელებენ — 38 მილიონი გირვანქა მადრიდის „რეალს“ გამზადებული აქვსო. ჰოდა, შაბათს „ოლდ ტრეფორდთან“ თვალცრემლიანმა დამშვიდობებამ და ორშაბათს ლხენაზე არმისვლამ ეჭვი უფრო გააძლიერა. მისი მეჯვარე გარი ნევილი, ყავარჯნებითაც რომ ახერხებდა გართობას, კი ამბობდა, არ დაიჯეროთ, უბრალოდ არ სცალიაო, მაგრამ...

დევიდი და ვიქტორია იმ დღეს ლონდონში ყოფილან. რა საქმეზე ჯერ არ ვიცით.

**გიგა ძოწახიძე**







# აი, შემოსავალი!

## ფრანგებმა ბექემს ყველაზე მეტი დაუთვალეს

„ფრანს ფუტბოლმა“ გუშინ მსოფლიოს ყველაზე ანაზღაურებად ფეხბურთელთა სია გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც, უმდიდრესი კაცი დევიდ ბექემი ყოფილა. ინგლისის ნაკრების კაპიტანს „მანჩესტერ იუნაიტედი“ წელიწადში 15 მილიონ ევროს უხდის. მეორე ზინედინ ზიდანია, რომლის შემოსავალიც ბექემისაზე ერთი მილიონით ნაკლებია.

ბუღალტერიას და ხელფასის უწყისებს სიზუსტე უყვარს, მაგრამ „ჩელსის“ ფრანგი მარსელ დესაი ამბობს, „ფრანს ფუტბოლი“ შეცდა, პირველ ადგილზე ზიდანი უნდა იყოსო.

ეგ როგორ? როგორ და, დევიდ ბექემი ფეხბურთელებიდან უნდა ამოეშალა და შოუ-ბიზნესის ხალხში ჩაეწერაო.

„ბექემი და მისი ცოლი მეტწილად იმით არიან დაკავებულები, რომ ახალგაზრდებს ასწავლიან, როგორი ფეხსაცმელი ჩაიცვან და როგორი ტატუ გაიკეთონ. ეს ბიჭი დღითიდღე შორდება ფეხბურთს“ — თქვა საფრანგეთის ნაკრების კაპიტანმა.

დესაი რაღაცაში მართალიცაა, მაგრამ სანამ დევიდ ბექემს შრომის წიგნაკში თანამდებობად ფეხბურთელი უწერია, ყველაფერი ისე დავტოვოთ, როგორც „ფრანს ფუტბოლს“ აქვს.

**მსოფლიოს უხვშემოსავლიანი ფეხბურთელები**

| | | |
|---|---|---|
| დევიდ ბექემი | მანჩესტერ იუნაიტედი | 15 მილიონი ევრო |
| ზინედინ ზიდანი | რეალი | 14 მილიონი |
| რონალდო | რეალი | 11.7 მილიონი |
| რიო ფერდინანდი | მანჩესტერ იუნაიტედი | 9.62 მილიონი |
| ალესანდრო დელ პიერო | იუვენტუსი | 9.55 მილიონი |
| ჰიდეტოში ნაკატა | პარმა | 9.36 მილიონი |
| რაული | რეალი | 9.3 მილიონი |
| კრისტიან ვიერი | ინტერი | 9.28 მილიონი |
| მაიკლ ოუენი | ლივერპული | 8.9 მილიონი |
| როი კინი | მანჩესტერ იუნაიტედი | 8.65 მილიონი |
| ლუიშ ფიგუ | რეალი | 8.6 მილიონი |
| გაბრიელ ბატისტუტა | ინტერი | 8.6 მილიონი |
| სოლ კემპბელი | არსენალი | 8.1 მილიონი |
| ოლივერ კანი | ბაიერნი | 7.65 მილიონი |
| ალვარო რეკობა | ინტერი | 7.6 მილიონი |
| ფრანჩესკო ტოტი | რომა | 7.3 მილიონი |
| რივალდო | მილანი | 7.2 მილიონი |
| ტიერი ანრი | არსენალი | 6.2 მილიონი |
| ფაბიო კანავარო | ინტერი | 6.08 მილიონი |
| პაოლო მალდინი | მილანი | 6 მილიონი |

## იტალია

**სერია B. XXXIII ტური**

**სიენა 2:0 ლივორნო**

1:0 მინანი (16), 2:0 პინგა (88პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამპდორია | 33 | 16 | 13 | 4 | 47:25 | 61 |
| სიენა | 33 | 14 | 15 | 4 | 36:22 | 57 |
| ანკონა | 33 | 14 | 12 | 7 | 47:34 | 54 |
| ლეჩე | 33 | 12 | 17 | 4 | 38:29 | 53 |
| ვიჩენცა | 33 | 13 | 11 | 9 | 49:41 | 50 |
| ტერნანა | 33 | 13 | 11 | 9 | 39:31 | 50 |
| ტრიესტინა | 33 | 14 | 8 | 11 | 46:40 | 50 |
| პალერმო | 33 | 12 | 12 | 9 | 38:36 | 48 |
| კალიარი | 33 | 12 | 11 | 10 | 40:40 | 47 |
| ასკოლი | 33 | 12 | 8 | 13 | 42:42 | 44 |
| ლივორნო | 33 | 11 | 10 | 12 | 39:34 | 43 |
| ვერონა | 33 | 9 | 13 | 11 | 39:39 | 40 |
| ბარი | 33 | 8 | 16 | 9 | 31:32 | 40 |
| მესინა | 33 | 9 | 13 | 11 | 45:48 | 40 |
| ვენეცია | 33 | 9 | 12 | 12 | 31:40 | 39 |
| ჯენოა | 33 | 8 | 11 | 14 | 42:45 | 35 |
| ნაპოლი | 33 | 7 | 14 | 12 | 35:45 | 35 |
| კატანია | 33 | 9 | 8 | 16 | 37:51 | 35 |
| კოზენცა | 33 | 9 | 6 | 18 | 26:43 | 33 |
| სალერნიტანა | 33 | 4 | 9 | 20 | 24:54 | 21 |

## პორტუგალია

**I ლიგა. XXX ტური**

**გიმარაეში 1:1 ჟილ ვისენტე**

1:0 კლებერი (53), 1:1 დუა (81)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 30 | 25 | 4 | 1 | 67:22 | 79 |
| ბენფიკა | 30 | 20 | 5 | 5 | 63:24 | 65 |
| სპორტინგი | 30 | 17 | 6 | 7 | 47:30 | 57 |
| გიმარაეში | 30 | 13 | 8 | 9 | 45:38 | 47 |
| ლეირია | 30 | 12 | 8 | 10 | 42:39 | 44 |
| ჟილ ვისენტე | 30 | 13 | 5 | 12 | 40:41 | 44 |
| ბელენენსეში | 30 | 10 | 8 | 12 | 40:42 | 38 |
| ნასიონალი | 30 | 9 | 11 | 10 | 38:40 | 38 |
| ფერეირა | 30 | 10 | 8 | 12 | 34:42 | 38 |
| ბოავიშტა | 30 | 8 | 12 | 10 | 29:29 | 36 |
| მორეირენსე | 30 | 8 | 11 | 11 | 37:39 | 35 |
| მარიტიმუ | 30 | 10 | 5 | 15 | 31:46 | 35 |
| ბრაგა | 30 | 7 | 12 | 11 | 27:42 | 33 |
| ვარზიმი | 30 | 9 | 5 | 16 | 31:41 | 32 |
| ბეირა მარი | 30 | 7 | 9 | 14 | 35:49 | 30 |
| სანტა კლარა | 30 | 7 | 9 | 14 | 34:49 | 30 |
| აკადემიკა | 30 | 6 | 11 | 13 | 32:46 | 29 |
| სეტუბალი | 30 | 5 | 11 | 14 | 31:44 | 26 |

## ნორვეგია

**IV ტური**

**ბრანი 0:3 ვიკინგი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როზენბორგი | 4 | 4 | 0 | 0 | 11:1 | 12 |
| ვიკინგი | 4 | 3 | 1 | 0 | 10:2 | 10 |
| სოგნდალი | 4 | 3 | 1 | 0 | 9:5 | 10 |
| ოდ გრენლანდი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:6 | 9 |
| სტაბეკი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:3 | 7 |
| ბოდიო გლიმტი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| მოლდე | 4 | 1 | 1 | 2 | 6:5 | 4 |
| ვოლერენგა | 4 | 1 | 1 | 2 | 6:7 | 4 |
| ტრომსიო | 4 | 1 | 1 | 2 | 6:9 | 4 |
| ბრინი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:8 | 3 |
| ლილესტრიომი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:9 | 3 |
| ლინი | 4 | 0 | 2 | 2 | 4:8 | 2 |
| ბრანი | 4 | 0 | 2 | 2 | 4:12 | 2 |
| ოლესუნდი | 4 | 0 | 1 | 3 | 6:10 | 1 |

## გერმანია

**II ბუნდესლიგა. XXXI ტური**

**მაინცი 3:2 აინტრახტი**

0:1 შკელა (30), 1:1 ბაბაცი (39), 2:1 ბაიერლე (67ს.კ.), 2:2 შური (74), 3:2 აუერი (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 31 | 18 | 11 | 2 | 62:38 | 65 |
| ფრაიბურგი | 31 | 18 | 7 | 6 | 51:27 | 61 |
| მაინცი | 31 | 17 | 5 | 9 | 52:33 | 56 |
| ფიურტი | 31 | 14 | 11 | 6 | 50:31 | 53 |
| აინტრახტი | 31 | 14 | 11 | 6 | 47:29 | 53 |
| ალემანია | 31 | 12 | 9 | 10 | 51:42 | 45 |
| ტრირი | 31 | 13 | 6 | 12 | 50:43 | 45 |
| ლიუბეკი | 31 | 12 | 5 | 14 | 47:43 | 41 |
| ბურგჰაუზენი | 31 | 9 | 13 | 9 | 43:37 | 40 |
| დუისბურგი | 31 | 10 | 10 | 11 | 37:41 | 40 |
| უნიონი | 31 | 8 | 15 | 8 | 34:47 | 39 |
| ობერჰაუზენი | 31 | 10 | 7 | 14 | 37:42 | 37 |
| როიტლინგენი | 31 | 10 | 6 | 15 | 35:45 | 36 |
| კარლსრუე | 31 | 8 | 11 | 12 | 31:42 | 35 |
| ალენი | 31 | 8 | 7 | 16 | 40:56 | 31 |
| ბრაუნშვაიგი | 31 | 6 | 10 | 15 | 30:49 | 28 |
| ზტ. პაული | 31 | 6 | 9 | 16 | 42:62 | 27 |
| ვალდჰოფი | 31 | 6 | 7 | 18 | 30:62 | 25 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

# ნუნიესის დიაგნოზი: გეგმის, გუნდის და ფულის გარეშე

## ბარსელონა საგანგებო კომიტეტს ჩააბარეს

25 წელი და ერთი დღე გავიდა მას მერე, რაც 1978 წლის 6 მაისს საფეხბურთო კლუბ „ბარსელონაში“ პრეზიდენტის პირველი დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა. 10 352 ხმით ხოსეპ ლუის ნუნიესმა გაიმარჯვა, ვინაც 815 ხმით აჯობა მეორე ადგილზე გასულ ფერან არინოს და 4 150 ხმით ნიკოლაუ კასაუსს.

გუშინ „ბარსელონაში“ ახალი საარჩევნო ციებ-ცხელება დაიწყო, რამაც დასაბამი უნდა მისცეს კლუბში ახალი ერის დაწყებას. 25 წლის წინანდელმა 815-მა ხმამ 22 წლით შეუნარჩუნა პოსტი ნუნიესს, ხოლო მის უნდილ მოწაფეებს, ხუან გასპარსა და ენრიკე რეინას მეტისმეტად იოლად ჩაუვარდათ ხელში პრეზიდენტის სავარძელი.

*გუშინ კლუბში საგანგებო სხდომა გაიმართა, რომელზეც ენრიკე რეინა პოსტიდან გადადგა, დირექტორატიც თან გაიყოლია, ძალაუფლება კი საგანგებო კომიტეტს გადაეცა, რომელიც ახალი არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფს. დაზუსტდა არჩევნების თარიღიც — 15 ივნისი.*

წასვლამდე ენრიკე რეინამ კლუბს არცთუ სახარბიელო რიცხვებიც დაუტოვა: სადღეისოდ „ბარსელონას“ ვალი 98 მილიონი ევროა, თუმც რეინამ თქვა, საქმე ისე გვქონდა აწყობილი, სეზონის ბოლოსთვის ვალი უნდა განახევრებულიყო.

ვალის განახევრებისას, აბა, რა მოგახსენოთ, ისე კი ფიქრობენ, არჩევნებზე უფრო ბევრი ხალხი მივა, ვიდრე „კამპ ნოუზე“ მივიდა კვირას „რაიო ვალეკანოსთან“ მატჩისას.

„რაიოსთან“ შეხვედრას 47 ათასი მაყურებელი დაესწრო, უსახური თამაში იყო და ლუის ენრიკეს რომ არ ეყოჩაღა, ვინ იცის, „რაიო“ გატყდებოდა თუ არა. თუმც რა გვიკვირს, გუნდსაც იგივე სენი სჭირს, რაც მთლიანად კლუბს. ჰოდა, ამიტომაც ხოსეპ ნუნიესმა გუშინ თქვა: ვინც რეინას შეცვლის, აურაცხელი სამუშაო ელოდება, რაკი „ბარსა“ დღეს ისეთსავე დღეშია, 25 წლის წინ რომ იყო — გეგმის, გუნდისა და ფულის გარეშე.

ყველაზე ცუდი ის არის, რომ „ბარსელონა“ 25 წლის წინანდელ მდგომარეობას დაუბრუნდა.

**გიორგი დარჯანია**





ენრიკე რეინამ და ხუან გასპარმა ხოსეპ ლუის ნუნიესისგან პრეზიდენტობა ვერ ისწავლეს



REUTERS როი დე ფანჯაროვანი

ფლუმინენსე — ვასკუ და გამა. მასპინძელი მარკო დე ოლივეირა (№6) ამოყირავდა და ვასკუელი ველინგტონ პაულუც წაიყოლია

# მძღვნება ოსვალდო ოლივეირას

## ბრაზილია

მე-7 ტური: ფლამენგო — ვიტორია 2:1; ბაია — გრემიო 2:1; კრუზეირო — ატლ. პარანენსე 5:2; ფორტალეზა — კორინთიანსი 1:2; სან პაულუ — ფიგეირენსე 3:2; სან კაეტანო — პაისანდუ 2:0; ინტერნასიონალი — გოიასი 2:1; პონტე პრეტა — ატლ. მინეირო 2:1; ჟუვენტუდე — გუარანი 1:1; კურიტიბა — პარანა 2:1; კრისიუმა — სანტოსი 1:3; ფლუმინენსე — ვასკუ და გამა 0:0

„ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘ" კვლავაც რჩება საერთობრაზილიური ჩემპიონატის ლიდერად, რახან 2:1 მოუგო „გოიაშს", ხოლო წლევანდელ რაგინდარა შეჯიბრებებში კვლავაც წაგებული „კრუზეირო" ფეხდაფეხ მისდევს ლიდერს, რომელსაც ორი ქულა იმიტომ დაუმატეს ფეხბურთის მამებმა, რომ „პონტე პრეტამ" განაცხადს გარეთ მყოფი ფეხბურთელი ათამაშა მასთან შეხვედრაში.

„ინტერნასიონალმა" ორი პენალტით მოუგო „გოიაშს". აქედან პირველი 27-ე წუთზე გაიტანა, მეორე კი 90-ეზე. პირველი გავილანმა შეაგდო, მეორე კი ფლავიომ, რახან გავილანი უკვე შეცვლილი იყო. ამათ შორის კი იყო „გოიაშელ" ლიმბას კომიკური გოლი: „ინტერნასიონალის" მეკარე კლემერმა კარიდან დაარტყა, თანაგუნდელს მოახვედრა ზურგში და ბურთი ცარიელ კართან დარჩენილ ლიმბას მიუვიდა.

ვანდერლეი ლუშემბურგოს გაწვრთნილმა „კრუზეირომ" 5:2 მოუგო „ატლეტიკო პარანენსეს". 3 გოლი კოლუმბიელმა ვიქტორ უგო არისტასაბალმა გაიტანა, თამაშის გარდამტეხი მისი მეორე და მესამე გოლები იყო.

შარშანდელ ჩემპიონ „სანტოსს", რომელიც თანდათან მიიწევს მაღლა, ნამღვილი ჩეხვა მოუწყო პატარა „კრიკუმამ", თანაც გუნდს დიეგუ და რიკარდო ოლივეირა აკლდნენ, მაგრამ ნენემ და რობინიომ მაინც შეძლეს თითო გოლის გატანა, ელანო კი საკაცით გაიტანეს მოედნიდან.

„სან პაულუმ" 3-2 მოუგო „ფიგუირენსეს". თამაშამდე 24 საათით ადრე კლუბის უფროსობამ ერთწლიანი დაწოლისა და მუქარის შემდეგ ყოვლად ვერაგულად გადააყენა ლეგენდარული მწვრთნელი ოსვალდო ოლივეირა. ფეხბურთელებმა ქომაგთათვის მიულებელ უკვე ყოფილ მწვრთნელს მიუძღვნეს ეს გამარჯვება, რომელიც ბოლო წამს, გუსტავო ნერის გოლით მოიპოვეს.

„ოსვალდოს გარეშე ძალიან გაგვიჭირდება — თქვა ორი გოლის გამტანმა ლუიშ ფაბიანუმ — მე ჩემს გოლებს მას ვუძღვნი."

**ლუჟაუ დუ მოზკაუ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერნასიონალი | 7 | 5 | 1 | 1 | 12:6 | 18 |
| კრუზეირო | 7 | 5 | 2 | 0 | 23:11 | 17 |
| სანტოსი | 7 | 4 | 2 | 1 | 14:5 | 14 |
| ატლ. მინეირო | 7 | 4 | 1 | 2 | 14:9 | 13 |
| ფლამენგო | 7 | 3 | 3 | 1 | 11:8 | 12 |
| პარანა | 7 | 3 | 2 | 2 | 12:8 | 11 |
| სან პაულუ | 7 | 3 | 2 | 2 | 16:16 | 11 |
| კურიტიბა | 7 | 3 | 1 | 3 | 10:10 | 10 |
| სან კაეტანო | 7 | 2 | 4 | 1 | 10:8 | 10 |
| კორინთიანსი | 7 | 2 | 3 | 2 | 15:13 | 9 |
| ფლუმინენსე | 7 | 2 | 3 | 2 | 6:8 | 9 |
| ჟუვენტუდე | 7 | 1 | 3 | 3 | 7:16 | 9 |
| გრემიო | 7 | 2 | 2 | 3 | 8:9 | 8 |
| კრისიუმა | 7 | 2 | 2 | 3 | 10:13 | 8 |
| პაისანდუ | 7 | 2 | 2 | 3 | 15:19 | 8 |
| ვიტორია | 7 | 2 | 2 | 3 | 8:11 | 8 |
| გუარანი | 7 | 2 | 2 | 3 | 11:11 | 8 |
| ვასკუ და გამა | 7 | 2 | 2 | 3 | 13:15 | 8 |
| ატლ. პარანენსე | 7 | 2 | 1 | 4 | 11:14 | 7 |
| ბაია | 7 | 2 | 1 | 4 | 9:13 | 7 |
| პონტე პრეტა | 7 | 2 | 4 | 1 | 9:10 | 6 |
| ფორტალეზა | 7 | 1 | 3 | 3 | 5:11 | 6 |
| გოიასი | 7 | 1 | 2 | 4 | 17:18 | 5 |
| ფიგეირენსე | 7 | 0 | 4 | 3 | 7:11 | 4 |

# ბილარდო ღრიალით დაბრუნდა

## არგენტინა

კლაუსურა

მე-11 ტური: ოლდ ბოიზი — სან ლორენსო 2:1; ურაკანი — როსარიო 1:2; არსენალი — ინდეპენდიენტე 0:0; რივერ პლეიტი — ნუევა ჩიკაგო 1:1; ესტუდიანტესი — ტალიერესი 2:1; ოლიმპო — ხიმნასია 2:3; რასინგი — ლანუსი 0:2; ველესი — ბოკა ხუნიორსი 2:0. კოლონი — ბანფილდი და ჩაკარიტა — უნიონი გადაიდო

ბოლო შვიდ წელიწადს, მას შემდეგ რაც „ბოკას" მწვრთნელობიდან გადადგა, კარლოს ბილარდო მშვიდად ცხოვრობდა, ტელეკომენტატორად მსახურობდა, გასულ უქმეებზე კი სტადიონზე კვლავ გაისმა მისი ღრიალი. ბილარდო „ესტუდიანტესს" ჩაუდგა სათავეში, კლუბს, რომელშიაც ახალგაზრდობაში თამაშობდა და რომელთან ერთად 1968 წელს საკონტინენტათაშორისო თასი მოიპოვა.

ბილარდოს ჩასვლა ლა პლატაში იღბლიანი გამოდგა: „ესტუდიანტესმა" 2:1 მოუგო „ტალიერესს". ორივე გოლი ერნესტო ფარიასმა გაიტანა და გუნდი 11-ე ადგილზე აცოცდა.

ცხრილს კი კვლავ ლიდერობს „რივერ პლეიტი". იმის მიუხედავად, რომ შინ ფრეს (1:1) დასჯერდა „ნუევა ჩიკაგოსთან". ფერნანდო კავენაგიმ მეორე ტაიმის შუაში გახსნა ანგარიში, თუმცა, „რივერი" მხოლოდ ორ წუთს იგებდა, მერე ესკილელ აბაიამ გაათანაბრა. ამასობაში კი, „ველეს სარსფილდმა" 2:0 მოუგო „ბოკას" ფაბიან კუბეროსა და სერხიო სენას გოლებით, ამით კი ის გამოიდგა, რომ „ბოკა" ქულით ჩამორჩება „რივერს", „ველესი" კი მხოლოდ უარესი ბურთით „ბოკას".

კვლავ წააგო რუჯერიო კორნეიროს „რასინგმა", ამჯერად „ლანუსთან". რასინგელებს ორივე გოლი როდრიგო დიასმა გაუტანა.

კლაუსურას ადრეულ ლიდერს კი სულ უფრო და უფრო უჭირს ორი ფრონტიდან ერთ-ერთის არჩევა: „რასინგი" ხომ ლიბერტადორესის თასზეც იბრძვის.

ამ უქმეებზე სანტა ფეს პროვინციაში კოკისპირული წვიმა იყო და ქალაქები დატბორა. ამიტომაც გადაიდო „კოლონ" — „ბანფილდის" და „ჩაკარიტა" — „უნიონის" თამაშები. უნიონელთა სახლები წყალმა დაანგრია, „კოლონის" სტადიონზე კი მინდორი წაზდა.

**ონორიო ბუსტოს დომბიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რივერ პლეიტი | 11 | 8 | 2 | 1 | 24:8 | 26 |
| ბოკა ხუნიორსი | 11 | 8 | 1 | 2 | 18:8 | 25 |
| ველესი | 11 | 8 | 1 | 2 | 17:7 | 25 |
| როსარიო | 11 | 6 | 3 | 2 | 22:14 | 21 |
| რასინგი | 11 | 5 | 2 | 4 | 16:13 | 17 |
| ხიმნასია | 11 | 5 | 2 | 4 | 17:18 | 17 |
| ოლდ ბოიზი | 11 | 4 | 4 | 3 | 15:15 | 16 |
| კოლონი | 10 | 3 | 6 | 1 | 9:6 | 15 |
| ნუევა ჩიკაგო | 11 | 4 | 3 | 4 | 17:17 | 15 |
| ოლიმპო | 11 | 4 | 2 | 5 | 14:13 | 14 |
| ესტუდიანტესი | 11 | 4 | 2 | 5 | 13:14 | 14 |
| ლანუსი | 11 | 4 | 2 | 5 | 12:13 | 14 |
| სან ლორენსო | 11 | 3 | 4 | 4 | 16:20 | 13 |
| უნიონი | 10 | 3 | 3 | 4 | 12:11 | 12 |
| ტალიერესი | 11 | 3 | 3 | 5 | 10:14 | 12 |
| არსენალი | 11 | 2 | 5 | 4 | 4:8 | 11 |
| ინდეპენდიენტე | 11 | 2 | 4 | 5 | 9:17 | 10 |
| ბანფილდი | 10 | 2 | 2 | 6 | 10:16 | 8 |
| ჩაკარიტა | 10 | 2 | 2 | 6 | 6:12 | 8 |
| ურაკანი | 11 | 0 | 3 | 8 | 8:25 | 3 |



REUTERS

ველეს სარსფილდი — ბოკა ხუნიორსი. ველესელებმა დიეგო კანა მოიმწყვდიეს

# სპარტაკი რუსეთისთვის იმიჯია

## რომანცევის სეიფში კოლოსკოვი იპოვეს

*რუსულმა გაზეთმა „იზვესტიამ" „სპარტაკის" მიერ გადამალულ შვიდ მილიონ დოლარს სდია და... ვიაჩესლავ კოლოსკოვს მიადგა. „სახალხო გუნდმა" ოლეგ რომანცევის პრეზიდენტობის პერიოდში თანხები არაერთხელ მიჩქმალა უცხოურ ბანკებში. ამ საქმეში რომანცევს თურმე საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი ეხმარებოდა.*







ვიაჩესლავ კოლოსკოვი და ოლეგ რომანცევი თურმე ერთად მამაძაღლობდნენ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ კი შვიდი მილიონის ამბავი „გასკდა", რუსეთის საფეხბურთო კავშირის მამები, კოლოსკოვის თამადობით, გაისუსნენ, აქაოდა, ჩვენ სიბინძურეში ხელი არ გვირევიაო. მხოლოდ გენერალურმა მდივანმა, ვლადიმირ როდიონოვმა ამოღერღა და თქვა: „რომას" და „სპარტაკს" ჩვენთვის პრეტენზიებით არ მოუმართავთ და ამიტომაც დმიტრი ალენიჩევის ტრანსფერის დეტალებს არ ჩავძიებივართ".

„იზვესტიამ" გამოქვეყნა საბუთები, რომლებსაც ოლეგ რომანცევის ხელმოწერა ამშვენებს და ვიაჩესლავ კოლოსკოვს თხოვნით მიმართავს, ფულის უცხოურ ბანკებში გადაქაჩვაში დაგვეხმარეთო. პრეზიდენტიც ეხმარებოდა.

ასე მოხდა 1996 წლის მაისში, როცა „სპარტაკის" მეპატრონეებმა ჩემპიონთა ლიგაში თამაშისთვის მიღებული თანხა დაითვალეს. აი, წერილის შინაარსი: „საფეხბურთო კლუბი მოსკოვის „სპარტაკი" მოგმართავთ თხოვნით, რომ რუსეთის საფეხბურთო კავშირის ანგარიშიდან ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლისთვის უეფადან მიღებული ჩვენი კუთვნილი 2 მილიონ 800 ათასი შვეიცარული ფრანკი გადარიცხოთ ბარსელონაში, „ბანკო ცენტრალ ისპანიოში". წერილში მითითებულია რომელიღაც საიდუმლო ფირმის SAFAGA-ს საბანკო რეკვიზიტები.

ვლადიმირ როდიონოვმა ისიც თქვა, რომ ოლეგ რომანცევს „პერსონა ნონ გრატად" გამოვაცხადებთ რუსულ ფეხბურთში, თუ ბრალეულობა დაუმტკიცესო. საინტერესოა, რომ როცა რომანცევი მსგავსი წერილების წერით იყო დაკავებული, საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტიც ასეთივე საქმეებს უეფასთან ჩარხავდა. მან მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე რუსეთის ნაკრების მონაწილეობის სანაცვლოდ მიღებული ფული ავსტრიულ ფირმა TCF HAINDES-ს ჩააბარა. კოლოსკოვმა უეფას მისწერა, „სპარტაკის" ფული ბარსელონაში „დასვით", ჩვენი კი ავსტრიაშიო. ფაქტობრივად, კლუბისა და საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტები ერთი საქმით იყვნენ გართულნი.

სხვათა შორის, საგადასახადო პოლიციამ ვიაჩესლავ კოლოსკოვს ავსტრიული ფირმის ამბავი გამოუჩხრიკა, მაგრამ საქმე არ აღიძრა იმის გამო, რომ პრეზიდენტს კუთვნილი ბეგარაც გადაახდევინეს და კიდეც დააჯარიმეს.

„მერწმუნეთ — თქვა ვლადიმირ როდიონოვმა — „სპარტაკის" იმიჯი გვარიანად შეილახა, თუმცა იმედი მაქვს, რომ ფიფა და უეფა კლუბს მკაცრად არ დასჯის. რუსეთის საფეხბურთო კავშირის იმიჯზე როდიონოვს კრინტი არ დაუძრავს. ალბათ, ფიქრობდა, რომ ვიაჩესლავ კოლოსკოვის სახელი შავ საქმეებში არ გაიჟღერებდა.

ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობით მოსკოვის „სპარტაკმა" 41 მილიონ 750 ათასი შვეიცარიული ფრანკი მოაქუჩა.

**გაგა ხუციშვილი**



ინგლისმა უცხოელი ერიკსონი მიიწვია,
ერიკსონმა უცხოელი მეკარე კარლო კუდიჩინი

# კარლო, შენ დაიცავ ინგლისს
## ტრაპატონის დაწუნებული კუდიჩინი ერიკსონმა მოიწონა

რა საერთო აქვთ ერთმანეთთან შვედ სვენ გორან ერიკსონს და იტალიელ კარლო კუდიჩინის?

თუმც ჯერ ის ვთქვათ, რომ სვენ გორან ერიკსონი თვით ინგლისის ნაკრების მწვრთნელია და ნისლიან ალბიონზე ილწვის. აქვე მუშაობს 30 წლის კარლო კუდიჩინიც, ოღონდ იგი ლონდონური „ჩელსის" ღირსებას იცავს.

ახლა საერთოზე: ერიკსონი მობილურზე ურეკავს კუდიჩინის და სატელეფონო საუბრისას ეუბნება, კარლო, მე შენ ინგლისის ნაკრებში მიგიწვევ!

ცნობისთვის: სულ ახლახან 30 წლის იტალიელმა კუდიჩინიმ დიდი ბრიტანეთის მოქალაქეობა მიიღო და უფლებაც აქვს, ნებისმიერი ბრიტანული ნაკრების სახელით ითამაშოს, თუ, ცხადია, მიიწვიეს.

ერიკსონმაც იტალიელი მიიწვია. კარლო კუდიჩინი — 60-იანი წლების „მილანის" მეკარის, ფაბიო კუდიჩინის ვაჟია, რომელიც მოუთმენლად ელოდა იტალიის ეროვნულ გუნდში გამოძახებას, მაგრამ ვინაიდან „სკუადრა აძურას" დღესდღეობით სამი უმაღლესი კლასის მეკარე (ბუფონი, ტოლდო, აბიატი) ჰყავს, იტალიელთა მწვრთნელ ჯოვანი ტრაპატონის მისი მიწვევა გულშიც არ გაუვლია.

90-იანი წლების დასაწყისში კარლო „მილანის" მესამე მეკარე გახლდათ, ჯოვანი გალის და სებასტიანო როსის შემდეგ. ერთადერთხელ ითამაშა სერია A-ში და ერთადერთხელ დაიცვა „როსონერის" ღირსება საჩემპიონთალიგო მატჩში ჰოლანდიურ „პსვ ეინდჰოვენთან". მერე სერია C-ს „კასტელ დი სანგროში" გაანათხოვრეს.

სწორედ მაშინ შეამჩნია ჯანლუკა ვიალიმ კუდიჩინი, ლონდონის „ჩელსის" რომ წვრთნიდა. საშუალო კლასის მეკარე ჩინებულ გოლკიპერად სწორედ „არისტოკრატთა" რიგებში იქცა.

**გიორგი გაზაძიძე**

# ბოსნიელი პარიზში
## დედაქალაქელებს გასავარდნის მწვრთნელი უნდათ

**ბოსნიელი** მწვრთნელი ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი, თავის დროზე „ლილის" ჩემპიონთა ლიგაში გამყვანი, ახლა კი სულთმობრძავი „რენის" მეთაური, შესაძლოა, მომავალ სეზონში „პარი სენ ჟერმენის" მწვრთნელად იქცეს. ამის თაობაზე ჰალილჰოჯიჩმა და პარიზელთა ახალმა პრეზიდენტმა ფრანსის გრელმა უკვე ისაუბრეს.

გრელი ბოსნიელს ჯერ კიდევ „ლილიდან" იცნობს, რომლის პრეზიდენტიც ორი წლის წინ ბრძანდებოდა, ხოლო გუნდის ახლანდელი მწვრთნელი ლუის ფერნანდესი რატომაც აითვალწუნა, რა ძნელი მისახვედრია: პსჟ პირველ ფრანგულ დივიზიონში მერვე ადგილზეა და ჩემპიონობას ან ჩემპიონთა ლიგას ვინ დაეძებს, უეფას თასის გარეშეც რჩება.

პარიზში გადაბარგება ჰალილჰოჯიჩსაც სურს, მაგრამ ჯერ „რენი" უნდა გადავარჩინოო, ამბობს. „რენის" საქმე კი ცუდადაა: სეზონის დასრულებამდე სამი ტურით ადრე გასავარდნ ზონას ოდენ ერთი ქულითაა აშორებული ანუ თავს უსაფრთხოდ ვერ გრძნობს.



ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი

„დღეს ჩემი ერთადერთი საზრუნავი „რენია" — თქვა ჰალილჰოჯიჩმა — პარიზელებს კი პასუხს მხოლოდ მას მერე შევუთვლი, როცა „რენი" თავს უსაფრთხოდ იგრძნობს."

„რენის" დარჩენილი მეტოქეები ასევე გავარდნის პირას მყოფი „სტრასბური", „მონპელიე" და ალბათ ჰალილჰოჯიჩის მომავალი გუნდი „პარი სენ ჟერმენი" არიან.

**ირაკლი ნინიძე**



მარსელ დესაიმ დიდიე დეშანისა დაამხო

# ოდენკეი აბე — 104
## ფულის რიგშიც პირველი

საფრანგეთისა და ეგვიპტის ამხანაგურ მატჩში მარსელ დესაიმ სანაკრებო რეკორდი დაამხო. აქამდე თუ ლურჯი მაისურა ყველაზე მეტჯერ (103) დიდიე დეშანს ჰქონდა მორგებული, ახლა მას დესაიმ (104) გადაასწრო და ნუსხას სათავეში მოექცა.

„ჩელსის" მცველი განის დედაქალაქში, აკრაში დაიბადა. მისი ნამდვილი სახელია ოდენკეი, გვარი — აბე, ხოლო მარსელ დესაი მამინაცვალმა შეარქვა, რომელიც განაში, საფრანგეთის საკონსულოში მუშაობდა. ოთხი წლის იყო, საფრანგეთს რომ მიაშურა და თავს აფრიკელად არ გრძნობს: „ერთადერთი, რაც ჩემი თანამემამულეებისგან მომდევს, სიზარმაცეა — თქვა დესაიმ — დაგვიანებაში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ვარ, დათქმულ დროზე, მგონი, არსად არასოდეს მისულვარ".

აფრიკაში, თვით განაშიც კი, იგი ისეთივე პოპულარული არაა, როგორც როჟე მილა კამერუნში, ან ჟორჟ ვეა ლიბერიაში. ასეა, მიუხედავად იმისა, რომ დესაი პირველი აფრიკელი მსოფლიოს ჩემპიონია.

აღსანიშნავია ერთი ფაქტიც. როცა „მილანში" ის და ჟორჟ ვეა მხარდამხარ თამაშობდნენ, მარსელ დესაი ერთადერთი იყო გუნდში, ვინც ვეას წინასამატჩო აფრიკულ რიტუალებს ამრეზით უყურებდა.

მარსელ დესაის მეუღლე ნადინ ფრანგია. ფეხბურთელმა მომავალი საცოლე 1986 წელს გაიცნო. თავად 22 წლის იყო, ვირჟინი კი — 18-ის. ვირჟინი სუპერმარკეტში მუშაობდა. მოკლედ, ოდენკეი, იგივე მარსელი, საფრანგეთს შეეგუა. თუ მის ჯიბეში ჩავიხედავთ, „ადიდასთან", „ფუჯისთან" და „ღვინოსთან" დადებული სარფიანი კონტრაქტებისგან მოქუჩებულ გვარიან თანხას წავაწყდებით. ამ საქმეში აშკარად არ ზარმაცობს. თუმც „ჩელსიშიც" კარგად ბლომად ფულს ხვეტს. თავის დროზე ინგლისში ყველაზე მაღალხელფასიანი მცველი იყო.

„ის ნამდვილი კაპიტანი და ბრწყინვალე ადამიანია — თქვა ოლივიე დაკურმა — მარსელი ლიდერია მოედანზეც და მის გარეთაც. ყველგან პირველია, როცა პრემიებს გვირიგებენ, მაშინაც კი რიგში ყოველთვის პირველი დგას".

1. მარსელ დესაი — 104
2. დიდიე დეშანი — 103
3. ლორან ბლანი — 97
4. ლილიან ტურამი — 85
5-8. მანუელ ამორო — 82
5-8. იური ჯორკაეფი — 82
5-8. ზინედინ ზიდანი — 82
5-8. ბიქსენტ ლიზარაზუ — 82
9. მაქსიმ ბოსი — 76
10. მიშელ პლატინი — 72

**ვაჟა ხუციშვილი**


სიახლე საქართველოში!

35 000 ნახატი, ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები,
აირჩიეთ და დაიხატეთ თქვენს და ჩვენს სამოსზე

გთავაზობთ უცხოური წარმოების სხვადასხვა მოდელის, ფერის და ზომის მაისურებს მრავალნაირი აპლიკაციით,

საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91

53-76-82 899 56-18-49


## შვედეთი
### V ტური

ჰამარბი 2:1 მალმიო
ჰელსინგბორგი 0:0 იორებრო
ელფსბორგი 2:2 სუნდსვალი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰამარბი | 5 | 4 | 1 | 0 | 10:4 | 13 |
| აიკ | 5 | 3 | 1 | 1 | 9:3 | 10 |
| იურგორდენი | 4 | 3 | 0 | 1 | 11:1 | 9 |
| ჰელსინგბორგი | 5 | 2 | 2 | 1 | 6:5 | 8 |
| ჰალმსტადი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:7 | 7 |
| ოისტერი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 |
| იორებრო | 5 | 2 | 1 | 2 | 6:7 | 7 |
| ლანდსკრონა | 5 | 1 | 3 | 1 | 5:5 | 6 |
| გიოტებორგი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:2 | 5 |
| სუნდსვალი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:8 | 5 |
| მალმიო | 5 | 1 | 2 | 2 | 6:8 | 5 |
| ელფსბორგი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:11 | 5 |
| იორგრიტე | 5 | 1 | 1 | 3 | 6:11 | 4 |
| ენკოპინგი | 5 | 0 | 1 | 4 | 2:11 | 1 |


სამკურნალო გაერთიანება „ლიგა"

დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე

სექსოპათოლოგიის კლინიკა

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21

ვაქცინაციის ცენტრი

- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის" ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა"
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

# დავით ყიფიანის თასი

ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები

# სიონი მიუწვდომელია, დაურეკეთ ტორპედოს

*დღეს დავით ყიფიანის სახელობის თასის მეცამეტე გათამაშების მეორე ფინალისტი გაირკვევა. 26 მაისის ფინალური შეხვედრის ერთი მონაწილე ხომ, ფაქტობრივად, ცნობილია. „დინამომ" პირველ ნახევარფინალურ მატჩში ოთხი უპასუხო გოლით აუქედა „ლოკომოტივს" კარი და დღევანდელ საპასუხოს ინტერესი დაუკარგა.*

*ქუთაისში კი დაცხება. ჩემპიონი „ტორპედო" ჩემპიონატის პერიფერიულ მშვენებას, „სიონს" მასპინძლობს. ამათი პირველი ნახევარფინალური მატჩი ბოლნისში მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა — 1:0.*

*სათასო კლასიკური ანგარიშით მოგებამ ქვემოქართლელებს ფინალში გასვლის იმედი გაუღვივა — „სიონმა" თუ დღეს გაიტანა, ერთბურთიანი წაგებაც ხელს აძლევს. კბილთაღრჭიალით იცდის ჩემპიონიც, ფინალში ჩვენ გავალთო, დარწმუნებულნი არიან იმერლები.*

*მოკლედ, ხელისმოსაფშვნეტი ვითარებაა —ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი...*



თემურ მახარაძე

„სიონი" ისტორიული შანსის წინაშე დგას, დიდი ალბათობაა, ფინალში გასვლით ბოლნისელებმა უეფას თასის საგზური მოიპოვონ, რადგან მეორე ფინალისტი „დინამო" ჩემპიონობასთან ახლოსაა. „დინამო" თუ გაჩემპიონდა და თასსაც დაეპატრონა, ფინალისტი ნებისმიერ შემთხვევაში ითამაშებს უეფას თასზე, ამიტომ ბოლნისელთათვის ევროპაში გასაჭრელ ერთადერთ გზად დღევანდელი შეხვედრის სასურველი შედეგით დასრულება რჩება.

„სიონმა" თადარიგი დაიჭირა და გუშინწინ ესტუმრა იმერეთს. ბოლნისელები წყალტუბოში დაბანაკდნენ. თემურ მახარაძის განკარგულებაში 17 ფეხბურთელია.

„სიონმა" შალვა ისიანი და ალექსანდრე კოშკაძე ვერ ჩაიყვანა „ტორპედოსთან" სათამაშოდ. ისიანს საზარდული აწუხებდა და რამდენიმე დღის წინ განაახლა ვარჯიში, კოშკაძე კი 29 აპრილს დაშავდა — „ლოკომოტივთან" მატჩში ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველმა ფეხის ცერა თითი მოიტეხა. ბოლომდე არ მომჯობინებულა ბოლნისელთა ახალწვეული იოსებ დევიძე, თუმც თემურ მახარაძემ ეს ფეხბურთელი წყალტუბოში მაინც იახლა.

„სიონი" ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში, წინა პარასკევს, „ვიტ ჯორჯიასთან" დამარცხდა. მაშინ მახარაძემ თბილისში დატოვა შეგირდები და გუნდი წყალტუბოში გამგზავრებამდე დიდუბეში, „მანეჟში" ემზადებოდა. ბუნებრივია, მახარაძე ყველაზე უკეთ აცნობიერებს დღევანდელი მატჩის მნიშვნელობას. ინტენსიური დატვირთვების შემდეგ მწვრთნელმა გუშინლა ამოასუნთქა შეგირდები. თითოეული მათგანი მხოლოდ მატჩზე ფიქრობს — მწვრთნელის გადაწყვეტილებით, სიონელებმა მობილური ტელეფონებიც გამორთეს.

დღეს მოედანზე უეჭველად ფიცხელ ბრძოლას ნახავს „ტორპედოზე" მისული მაყურებელი, ერთგვარი ომი უნდა ყოფილიყო ტრიბუნებზეც. ბოლნისელი და ქუთაისელი გულშემატკივრების საფეხბურთო ტემპერამენტის ამბავი ხომ ყველასთვის ცნობილია, მაგრამ ქვემოქართლელებმა ქუთაისში დიდი ძალებით ჩასვლა გადაიფიქრეს. არადა, გადაწყვეტილი იყო, რომ „სიონის" ქომაგები ხუთი ავტობუსით გაემგზავრებოდნენ ლიხს იქით, მაგრამ ბოლო მომენტში ბოლნისის გამგებელმა ზურაბ ჯაფარიძემ ორი გუნდის ქომაგთა შორის შესაძლო დაპირისპირებას თავი აარიდა. მიუხედავად ამისა, როგორც შევიტყვეთ, ბოლნისელები ხარჯს არ შეუშინდნენ და ქომაგთა მოკრძალებული რაოდენობა მაინც ეყოლება დღეს „სიონს".

„ასეთი მნიშვნელობის შეხვედრა ჩვენ გუნდს ჯერ არ ჰქონია. რაც შეგვიძლია, ყველაფერი უნდა გავიღოთ გამარჯვებისთვის. „სიონმა" მიზანს უნდა მიაღწიოს და ფინალში გავიდეს. თუ ბიჭებმა ეს შეძლეს, მათი შრომა შესაბამისად დაფასდება" — ზურაბ ჯაფარიძის მიერ ჩვენთვის ნათქვამი ეს სიტყვები სიონელებს უთუოდ მხნეობას შემატებს.



**ბაატა ძგანტალიანი**

ქუთაისი. ტორპედო. 7 მაისი. 17.30 საათი

## ტორპედო — სიონი

პირველი მატჩი 0:1

**მსაჯები:** მ. მაღალურაძე; ლ. სილაგავა (ორივე თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ა. ორდინიძე (ონი); **სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ძამუკაშვილი; **დირექტორი:** ხ. კოტრიკაძე
**დისკვალიფიცირებული:** ა. შტელინი (ტორპედოს მწვრთნელი)

*თბილისში „დინამოსთან" 2:0 გამარჯვებით ხასიათგამოკეთებული ქუთათურები ახლა ბოლნისის „სიონის" ბეჭებზე გაკვრითაც იმუქრებიან. რიონისპირელთა განზრახვა გასაგებია, ქართულ „კლასიკოში" მოგების მიუხედავად, მათი საჩემპიონო შანსები კონკურენტებთან შედარებით მაინც მცირეა. ჰოდა, ტიტულებზე მონადირე „ტორპედოს" ქვეყნის თასი ამოუჭრია გულში.*

*დღევანდელი მატჩისადმი ტორპედოელთა განწყობის გამოცნობა შემდეგი კომენტარებიდანაც არ გაგიჭირდებათ:*

***ალექსანდრ შტელინი, მთავარი მწვრთნელი:***

— ძალიან რთული მატჩი იქნება. ყველანაირად ვეცდებით, რომ ფინალში ჩვენ ვითამაშოთ. ეს ერთ-ერთი გადამწყვეტი ჯახია ჩვენთვის ამ სეზონში. ამიტომ დაძაბული და ემოციებით სავსე მატჩი გველის.

**— ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურში თბილისის „დინამო" დაამარცხეთ. ალბათ, ახლა გუნდში მშვენიერი განწყობაა...**

— კარგის მეტი არაფერი მეთქმის. ბიჭები უხასიათობას, ცხადია, არ უჩივიან და იმედი მაქვს, ამას „სიონთან" მატჩის შემდეგაც შეინარჩუნებენ.

**— არადა, მანამდე რამდენიმე წარუმატებელი თამაში ჩაატარეთ...**

— ასეა, ქულები მართლაც დავკარგეთ, მაგრამ „დინამოსთან" მოგებამაც არ უნდა მოგვატყუოს. ფეხბურთში ხშირია შემთხვევები, როცა ძლიერთან მოგების შემდეგ გუნდი საკუთარ თავს მოდუნების უფლებას აძლევს და ახლა ჩემი მიზანია, სწორედ ამის უფლება არ მივცე ბიჭებს. ეიფორიაში არ უნდა ჩავვარდეთ. „სიონთან" მატჩი ორმაგად რთული იქნება ჩვენთვის.

**— მეტოქეზე რას იტყვით?**

— ბოლნისის „სიონი" კარგი გუნდია. წინა მატჩშიც ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ ეს ახლა არაფერს ნიშნავს. ყველაფერი საპასუხო მატჩში გაირკვევა.

**— გუნდში ტრავმირებული ხომ არავინ გყავთ?**

— საბედნიეროდ, ყველა ჯანმრთელადაა. ასეთი პრობლემები არ გვაწუხებს.

**— რომან ახალკაცმა ახლახან მოიშუშა ტრავმა. მისი გამოჩენა შესაძლებელია „სიონთან"?**

— მეეჭვება, ახალკაცმა ითამაშოს. ის ალბათ სათადარიგო იქნება. თავადაც აღნიშნეთ, რომ მან ტრავმა რამდენიმე დღეა, რაც მოირჩინა და ჯერ სრულად არაა გამოჯანმრთელებული. ამიტომ ჯერ კიდევ ვერიდები მის დატვირთვას. მირჩევნია, ცოტა გვიან დაიწყოს თამაში და რისკიც ნაკლები იყოს.



ალექსანდრ შტელინი

***შოთა ბაბუნაშვილი:***

— „სიონთან" სათამაშოდ მთელი სერიოზულობით ვემზადებით. მეტოქეს არაფერს არ დავუთმობთ. „დინამოსთან" მოგებითაც ძალიან გახარებულები ვართ და ვეცდებით, „სიონთანაც" ასეთივე წარმატებით ვითამაშოთ. ფინალში გასვლა ძალიან გვინდა.

***მიხეილ მახვილაძე:***

— ფინალში ჩვენ ვითამაშებთ. „სიონი" კარგი გუნდია, მაგრამ აუცილებლად უნდა მოვუგოთ. გუნდში საბრძოლო განწყობაა. აქამდე მცირე ჩავარდნა გვქონდა, მაგრამ ვფიქრობ, „დინამოსთან" წარმატებულმა თამაშმა განწყობა გამოგვიკეთა. ახლა მთავარია, მობილიზება შევძლოთ და ბოლნისელების წინააღმდეგ თავდაუზოგავად ვითამაშოთ.

***ვახტანგ ხვადაგიანი:***

— სერიოზულად ვემზადებით. თამაში ყველაფერს გამოაჩენს. ყველამ ნახა, რომ ძლიერ მეტოქესთან მოგება შეგვიძლია. ვფიქრობ, „სიონთან" ძალიან რთული მატჩი გველის, მაგრამ ფინალში გასასვლელად არაფერს დავთმობთ.

**ბახა ზალამბერიძე**



პირველ მატჩში რატი ალექსიძემ ჰეთ თრიკი შეასრულა

თბილისი. ეროვნული. 7 მაისი. 17.30 საათი

## დინამო — ლოკომოტივი

პირველი მატჩი 4:0

**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ზ. ჯვარიძე (თბილისი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. მეშკოვი (თბილისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ო. გუნთაძე; **დირექტორი:** გ. კეტაშვილი
**დისკვალიფიცირებულნი:** ხიზანეიშვილი, ალექსიძე (ორივე დინამო), სოხელია (ლოკომოტივი)

**ივო შუშაკის** „დინამომ" საფინალო საგზური ვაკეში, ნახევარფინალის პირველივე თამაშში მოიპოვა, როცა იმ დროისთვის თავგზააბნეულ „ლოკომოტივს" 4:0 მოუგო. საპასუხო მატჩის წინ სასწაულისა არავის სჯერა, მით უმეტეს, რკინიგზელთა ბანაკში ისევ არეულია ვითარება.

ლუის ცაკარიასი დღეს ვერ ათამაშებს დისკვალიფიცირებულ სოხელიას, საფეხბურთო სეზონი დასრულდა „ლოკომოტივისა" და ახალგაზრდული გუნდის ცენტრალური მცველისთვის — სერგო ორბელაძის უთამაშებლობის მიზეზს ცალკე წერილში იხილავთ, აქ მხოლოდ იმას გეტყვით, რომ მას ხანგრძლივი მკურნალობა დასჭირდება.

მუხლის იოგები აწუხებს გივი კვარაცხელიას, რომელმაც ჩემპიონატის ბოლო ტურში მეოცე წუთზე შეცვლა ითხოვა. ექიმის ვერდიქტი კი ასეთია, კვარაცხელია საოპერაციო არ არის, მაგრამ მისი მუხლი დასვენებას და მკურნალობას საჭიროებსო.

ზემოთ ნახსენები სამივე ფეხბურთელი ცაკარიასის გუნდისთვის შეუცვლელები არიან, ამიტომ უმათოდ წარმოუდგენელია „დინამოსთან" წარმატებაზე ფიქრი.

თავისი წილი პრობლემები შუშაკსაც მისძალებია. ხიზანეიშვილი და ალექსიძე დისკვალიფიცირებულნი არიან, ხოლო გოგბერიშვილი ტრავმირებულია. ალეკო მუხლის ტკივილს შეუწუხებია, თუმც ტრავმა სერიოზული არ უნდა იყოს. ასეთი დანაკლისის მიუხედავად, „ლოკომოტივის" სადღეისო შანსები სულაც არ გაზრდილა, „დინამოს" სათადარიგოთა სკამი საკმაოდ გრძელია და შუშაკს დანაკლისის შევსებაც იოლად შეუძლია.

**მამუკა ძგანტალიანი**

*გიორგი ქინქლაძე ინგლისური „დერბის" 2002-03 წლების სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. გამოკითხვაში, რომელიც ყოველი სეზონის ბოლოს ეწყობა, გულშემატკივრებმა და ჟურნალისტებმა მიიღეს მონაწილეობა და ჩვენებური ნახევარმცველიც სწორედ მათ გამოარჩიეს*



# ასი ცხვარი ქინქლაძეს
## დერბის საუკეთესო ქართველია

**არაბა,** ახლა უკვე დამთავრებული ინგლისური პირველი დივიზიონის ჩემპიონატი ქინქლაძისთვის უიღბლოდ დაიწყო. ტრავმებისა და სხვა მიზეზთა გამო მას თითქმის ნახევარი სეზონი გაუცდა. ქინქლაძე სტაბილურად ნაახალწლევს ათამაშდა, ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაიბრუნა და რამდენიმე მნიშვნელოვანი გოლიც გაიტანა. მისი დიდი დამსახურებაა, „დერბიმ" პირველ დივიზიონში ადგილი რომ შეინარჩუნა — წერენ ჩვენი ინგლისელი კოლეგები.

წინა უქმეებზე, შინ „იფსვიჩთან" სეზონის ბოლო მატჩი გიორგი ქინქლაძისთვის საიუბილეო, მე-100 გამოდგა. ბოლო იყო ალბათ ქინქლაძის „დერბიში" თამაშიც — მას ივნისში ამ კლუბთან კონტრაქტი უმთავრდება.

„დერბისთან" კონტრაქტი, ფაქტობრივად, დაგიმთავრდა. შეგვიძლია, ჩავთვალოთ, რომ მომავალ სეზონს სხვა გუნდში ითამაშებ?" — ვკითხეთ გიორგი ქინქლაძეს გუშინ, როცა დერბიში დავუკავშირდით. გიოსგან კონკრეტული პასუხი ვერ მივიღეთ, თუმც კი... „კლუბის ხელმძღვანელობა კონტრაქტის გაგრძელების თაობაზე უკვე რამდენჯერმე მესაუბრა. უარი არ მითქვამს, მაგრამ საბოლოო პასუხის მოსაფიქრებლად დრო ვითხოვე, დავისვენებ და მერე ვილაპარაკოთ-მეთქი. ვნახოთ, რა იქნება. მაინცდამაინც არ მხიბლავს „დერბიში" დარჩენის პერსპექტივა. გუნდს ფინანსურად უჭირს. საკითხავია, დარჩება თუ არა მწვრთნელი. ახალი ფეხბურთელების მოწვევას ვერ ახერხებენ. დღევანდელი გუნდით კი პრემიერლიგაში დაბრუნების შანსი მცირეა. ამიტომაც ჯერჯერობით თავს ვიკავებ „დერბის" ხელმძღვანელებთან კონტრაქტის გაგრძელების თაობაზე საუბრისგან" — გვითხრა ქინქლაძემ.

დიდი ხანია, ქართველი ფეხბურთელით დაინტერესებულ კლუბებზეც ლაპარაკობენ. ადრე ითქვა, „გალათასარაი" და „ჰამბურგი" ეპატიჟებიან ჩვენიანსო, სატრანსფერო სეზონის გახსნას უმალ მოჰყვებოდა-ხოლმე ქინქლაძის სამომავლო ტრანსფერზე მარჩიელობა. ამჯერადაც ასე იქნება — ევროპაში სეზონი მთავრდება. ეს კი სატრანსფერო ციებ-ცხელების დაწყებასაც ნიშნავს. ქინქლაძე ამბობს:

„კონკრეტული წინადადება ჯერ არავისგან მიმიღია, თუმც ვიცი, რომ გერმანულ, ესპანურ და იტალიურ გუნდებს აქვთ ჩემდამი ინტერესი. ყველა გუნდი უმაღლესლიგელია. როგორც ყოველთვის, არის ინგლისური პრემიერლიგის ვარიანტიც. ჯერ მოლაპარაკების დრო არაა, ამ ქვეყნებში ერთი-ორი ტური დარჩა სათამაშო და მერე ჩემი აგენტიც გააქტიურდება. ივნისის ბოლოს გაირკვევა, გავაგრძელებ კონტრაქტს „დერბისთან" თუ სხვა გუნდში გადავალ".

იქამდე კი, ვიდრე გიორგი „დერბიში" მეასედ ითამაშებდა და ქომაგთა და ჟურნალისტთა გამოკითხვის შედეგებს გაიგებდა, მან ოთხშაბათს უმნიშვნელოვანესი სანაკრებო მატჩი გამოტოვა, ეროვნული გუნდის მწვრთნელს შეუთვალა, ავად ვარო:

„ვიწექი, სიცხე მქონდა და თბილისში ჩემს ჩამოსვლას აზრი არ ჰქონდა, ვერ ვითამაშებდი. პარასკევს წამოვდექი, შაბათს მსუბუქად ვივარჯიშე და ჩემთვისაც მოულოდნელი იყო კვირას მწვრთნელმა ძირითად შემადგენლობაში რომ მათამაშა. უვარჯიშებლობის კვალი მემჩნეოდა და საუკეთესოდ ვერ ვითამაშე. „იფსვიჩთან" მატჩი ჩემთვის მე-100 იყო, თანაც მერე გავიგე, რომ ქომაგებმა და ჟურნალისტებმა საუკეთესოდ დამასახელეს. რა თქმა უნდა, ძალიან მესიამოვნა, თუმც უფრო სახელოვან კლუბში გამორჩევა უფრო გამიხარდება. ვიმედოვნებ, მომავალი სეზონის ბოლოს ასეც იქნება".

**კობა ინასარიძე**




დერბელებმა ქინქლაძე საუკეთესოდ მიიჩნიეს

# ხოშ გელდი, ძმაო. ხინკალს უფრთხილდი!
## მცხეთამ ჯიჰანი გამოაცხადა

*...ოდნავ დაბნეულმა ერბაი ჯიჰან კალგანმა კალამი მოიმარჯვა და კონტრაქტს ხელი მოაწერა. მისმა მეგობრებმა ოკაი ორუჩმა და ოკტაი კილიჩასლანმა ტაში შემოკრეს და ერბაის მიულოცეს. ეს ამბავი გუშინ თბილისში მოხდა.*

*თურქეთ-საქართველოს მეგობრობისა და თანადგომის საზოგადოების ფონდი ხუთი წლის წინ მცხეთაში დაფუძნდა. საზოგადოება ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების დასამყარებლად თითქმის ყველა სფეროში (განათლება, კულტურა, სპორტი და ა.შ.) მოღვაწეობს. მათი წარმომადგენლების დახმარებით, თურქეთის ქალაქ იზმითიდან საქართველოში სამი ფეხბურთელი ჩამოიყვანეს. ისინი პირველლიგელ „მცხეთაში" ორი კვირის განმავლობაში ვარჯიშობდნენ. „მცხეთის" პრეზიდენტი ამჟამად ვლადიმერ გუცაევია. გუნდი მესამე ადგილზეა და უმაღლეს ლიგაში გადასვლის შანსი აქვს.*

*გუშინ საზოგადოების თბილისის ოფისში მცხეთის გამგებელმა ანდრო კალანდაძემ, ვლადიმერ გუცაევმა და ფონდის წევრებმა ლეგიონერები სპორტულ მედიას წარუდგინეს*



ვაჟა [illegible] ფოტო

*მიხეილ გელაშვილი, ფონდის წევრი:* „საქმიანობა მცხეთაში დავიწყეთ და საკმაო გამოცდილება დაგვიგროვდა. აგერ, ისიც კი შევძელით, რომ მცხეთელებს ერთბაშად სამი ლეგიონერი ჩამოვუყვანეთ. საზოგადოება თავიდან ყურადღებას ძირითადად კულტურის სფეროზე ამახვილებდა, ამჯერად კი წინ კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგით. მცხეთაში ვლადიმერ გუცაევის ძალისხმევით ფეხბურთი ხელახლა დაიბადა და მის დასახმარებლად ძალ-ღონეს არ დავიშურებთ. ვიმედოვნებ, რომ ჩვენი შრომა კლუბს სასიკეთოდ წაადგება."

*ანდრო კალანდაძე:* „რეგიონალური ლიგიდან გუნდი პირველ ლიგაში გადავიდა, ახლა კი უმაღლესში აღზევებას ვლამობთ. ვლადიმერ გუცაევმა სასწაული მოახდინა და მისი მადლობელი ვარ. ეს ჩინოვნიკის კი არა, ხალხის მადლობაა. ჩვენი ურთიერთობა კვლავაც გაგრძელდება და ყოველთვის დავეხმარებით."

19 წლის ერბაი ჯიჰან კალგანი ფორვარდია. მისი თანატოლი ოკაი ორუჩი და 23 წლის ოკტაი კილიჩასლანი მცველები არიან. ერბაი და ოკაი თურქეთის სამოყვარულო ლიგაში, იზმითის „მალიეში" თამაშობდნენ, ოკტაი კი ასევე სამოყვარულო „სარაიბაჰჩეში".

„მცხეთასთან" სამწლიანი კონტრაქტს ხელი ერბაიმ მოაწერა, მის მეგობრებს კი მოცდა მოუწევთ, თუმცა ისინი სამშობლოში ჯერ არ დაბრუნდებიან და მცხეთაში დარჩებიან. მათი გამოსაცდელი ვადა არ დასრულებულა და შანსი კიდევ ექნებათ.

ჯინსებში გამოწყობილი სამივე თურქი ოთახის კუთხეში მიყუჩებულიყო როცა ერბაის კონტრაქტზე ხელის მოსაწერად უხმეს, ოდნავ აფორიაქებული ჩანდა, მაგრამ მაგიდასთან თავისი ფეხით მივიდა. სურათის გადაღებისას თვალებდაჭყეტილი ფოტოაპარატის კამერას მიაჩერდა და ახალი გუნდის მაისურაც წაღმა-უკუღმა ხალისით ატრიალა. თან იზმითიდან საჩუქრად წამოღებული, იქაურთა ავტოგრაფებით აჭრელებული ბურთით იწონებდა თავს.

*ვლადიმერ გუცაევი:* „ერბაი ჯიჰანი საშუალო შეძლების ოჯახიდანაა, მამა არ ჰყავს. ორი კვირის მანძილზე ვაკვირდებოდი და ფრიად მომეწონა. ბურთთან ურთიერთობა საკმაოდ კარგად ეხერხება. ვფიქრობ, ჩვენი დონის გუნდში თამაშს შეძლებს „მცხეთას" ამჟამად ფორვარდი სჭირდება და დარჩენილ ხუთ ტურში ერბაი დაგვეხმარება. სატრანსფერო ფორმალობებს კვირის ბოლომდე მოვაგვარებთ.

ერბაის უკვე ხინკალიც გაუსინჯავს და ძალიან მოსწონებია. ადრე მცხეთის „არმაზში" მექსიკელი ლეგიონერი ჩამოიყვანეს და ოცი ხინკლიდან რომ დაიწყო, ასამდე ავიდა, მოსუქდა და მექსიკაში წავიდა. ერბაის ვურჩევ, რომ ხინკალს ძალიან ნუ მიეტანება".

ფეხბურთელების წარდგენის დასასრულს, ჩაციებული შამპანური ჭიქებში რომ ჩამოაკრაკლა, *ერბაი ჯიჰან კალგანმა* სიტყვა არ დაგვამადლა.

**— რამდენი წელია, რაც „მალიეში" თამაშობთ?**

— ფეხბურთს რომ ვეზიარე, მას შემდეგ 6-7 გუნდი გამოვიცვალე და „მალიეში" პირველ სეზონს ვატარებდი.

**— ფორვარდი გოლებით იცნობა...**

— ექვს მატჩში 14 გოლი მოვაქუჩე. ალბათ, ურიგო შედეგი არაა, თუნდაც სამოყვარულო გუნდში.

**— რატომ ირჩიეთ საქართველო, თურქეთში პერსპექტივა არ გქონდათ?**

— იზმითში ბევრი ძირძველი ქართველი ცხოვრობს, თქვენი ქვეყანა და ხალხი ჩვენთვის უცხო არაა. ამიტომ გადავწყვიტე, ბედი აქ მეცადა და მგონი, არ შევცდები.

**— თქვენი ორი მეგობარი გუნდმა რომ არ დაიტოვოს და მარტო დარჩეთ, ხომ არ გაგიჭირდებათ?**

— ვფიქრობ, რომ არა, მაგრამ, რა თქმა უნდა, გული დამწყდება. ჯერ ერთად ვართ და დარჩენის შანსი აქვთ.

**— იზმითი, მცხეთა, თბილისი, შეადარეთ?**

— აქაურობა მომწონს, განსაკუთრებით მცხეთის წყალი მეამა.

**— იზმითში „ქოჯაელის" ქართველი ლეგიონერების თამაში გინახავთ?**

— ერთხელ ვნახე და გია ოქროპირიძის კარგი თამაში დამამახსოვრდა.

**— თურქული გუნდებიდან რომელს ქომაგობთ?**

— „გალათასარაის" ქომაგი ვარ, მაგრამ წლეულს „ბეშიქთაში" უფრო ძლიერია და ალბათ ჩემპიონი გახდება.

**— ფეხბურთელებიდან?**

— ჰაქან შუქური ჩემთვის იდეალური თურქი ფორვარდია.

**ვაჟა ხუციშვილი**



ამ ორ თურქს ჯერ კიდევ აკვირდებიან

ვაჟა [illegible] ფოტო

# ყველაზე მაგარი ორიანი: ჩემპიონი დინამო გახდება

*31 წლის ზურაბ იონანიძეს საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატებში ყველაზე მეტი – 162 გოლი გაუტანია. მიმდინარე ეროვნულში ბომბარდირთა დავაში ის და ვიტჯორჯიელი ლევან მელქაძე ლიდერობენ 19-19 გოლით, თუმც იონანიძე ერთხელ უკვე იყო ჩემპიონატის მთავარმეგოლე და საერთოდ, იონანიძეს საქართველოში ყველაფერი აქვს მოგებული.*

*წინა ტურში კი ქუთაისის „ტორპედომ" იონანიძის ორი გოლით მოუგო სტუმრად თბილისის „დინამოს" და ქუთაისელთა ბომბარდირთან ინტერვიუც აქედან დავიწყეთ*



ბაჩო კილასონიას ფოტო

**— ყველაზე უფრო მაინც რის ხარჯზე მოახერხეთ „დინამოს" დამარცხება?**

— მონდომების ხარჯზე. თანაც ერთობ ცუდ სიტუაციაში ვიყავით — მეორე ეტაპის პირველ შეხვედრაში შინ რომ მოვუგეთ „დინამოს", მერე თამაშები ჩავაგდეთ და გამარჯვება ძალიან გვჭირდებოდა — ჩვენ ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გუნდი დავამარცხეთ. დინამოელებს ეტყობოდათ, რომ თავიანთი თამაში ვერ ითამაშეს და ჩვენ მათ ყველა კომპონენტში ვაჯობეთ.

**— „დინამოს" კარში გატანილი გოლები შენთვის განსაკუთრებულად ფასობს?**

— რა თქმა უნდა, რაც უფრო ძლიერ გუნდს გაუტან გოლს, მით უკეთესი. თანაც მანამდე, მეორე ეტაპზე გოლი არ მქონდა შეგდებული და საკუთარი ძალის რწმენა მჭირდებოდა.

**— ახლა ბომბარდირობისთვის უფრო მხნედ იბრძოლებ?**

— ბომბარდირობა ძალიან მინდა, ისევე როგორც ყველა თავდამსხმელს და საამისოდ ძალიან მონდომებულიც ვარ.

**— გამოკვეთილი ფორვარდის პოზიციაზე რომ არ თამაშობ, ეს ხელს არ გიშლის?**

— უმეტესწილად უკნიდან, მოედნის სიღრმიდან მიწევს თამაში და უკან ჩასვლაც მევალება, მაგრამ ჩემი მთავარი ამპლუა მაინც თავდამსხმელობაა — თუმცა გუნდს დასჭირდა და ცოტა სხვა პოზიციაზე მიწევს თამაში.

**— „ტორპედოს" ჩემპიონობის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდება, მთავარი აქცენტი თასზე გაქვთ გადატანილი?**

— ეგრეა, მთავარი ჩვენთვის ახლა თასია. ბოლნისის „სიონთან" ძალიან სერიოზული თამაში გველის და ამ საქმეს ძალიან დიდი ყურადღებით ვუდგებით. „სიონს" ორი ბურთის სხვაობით უნდა მოვუგოთ ფინალში გასასვლელად, რაც ჩვენგან ძალიან დიდ ძალისხმევას მოითხოვს — სეზონის მეორე ეტაპზე „სიონთან" ორივე მატჩი წავაგეთ თასზეც და ჩემპიონატშიც.

**— საშუასეზონო პერიოდში „ტორპედო" სამმა წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა — გივი დიდავა, რევაზ ქემოკლიძე და მალხაზ ასათიანი. გარდა ამისა, გუნდში არასტაბილური ფინანსური სიტუაციაა და ესეც ხომ არ არის იმის მიზეზი, რომ „ტორპედოს" ჩემპიონობის შესანარჩუნებლად მცირე შანსი შერჩა?**

— მთლიანობაში ყველაფერი ნორმალურადაა, რასაც გვპირდებიან, ყველაფერს გვისრულებენ. რაც შეეხება ხელფას-პრემიების დაგვიანებას, ამას შეგუებულები ვართ — ეს არ არის ყველაზე მთავარი.

**— ფორვარდი ხარ და უჩვეულო ნომრით კი თამაშობ, რატომ მაინცდამაინც ორიანი?**

— რა ვიცი, უკვე დიდი ხანია, რაც ამ ნომრით ვთამაშობ. როცა წყალტუბოს „სამგურალში" დავიწყე თამაში, მაშინ ორნომრიანი მაისურა იყო თავისუფალი და რომ ჩავიცვი, მას მერე შემრჩა.

**— საქართველოს ჩემპიონატში შეუძლია გუნდს სერიოზული წარმატებას მიაღწიოს ლიდერის გარეშე?**

— ჩემი აზრით ლიდერი აუცილებელია. გუნდში 3-4 ფეხბურთელი უნდა გყავდეს ისეთი, რასაც ლიდერი ჰქვია — უამისოდ ვერც ჩვენს ჩემპიონატში მიაღწევ წარმატებას.

**— როგორ ფიქრობ, „დინამოს" ჰყავს ასეთი ლიდერები?**

— როგორ არა. ანჩაბაძე, ბურდული, კარლოსი, შაშიაშვილი, ხიზანეიშვილი... ეს ფეხბურთელები მხოლოდ „დინამოში" კი არა, საერთოდ ჩემპიონატში არიან ლიდერები.

**— საქართველოში ყველაფერი მოგიგია — თასი, ჩემპიონობა, საუკეთესო ფეხბურთელის და ბომბარდირის ტიტული. კიდევ შეგრჩა დიდი მოტივაცია კვლავ მოიგო რამ? ახლა ყველაზე ახლოს, ალბათ, ბომბარდირის ტიტულთან ხარ...**

— მაწყენდა კიდევ ერთი ბომბრადირობა? თუ ამ ტიტულს ერთხელაც მოვიგებ, ამას რა აჯობებს.

**— 13 წლიანი კარიერის მანძილზე დღევანდელი გადმოსახედიდან გული ბევრ რამეზე გწყდება?**

— გული იმაზე მწყდება, რომ შემეძლო, უკეთეს გუნდებში მეთამაშა. წლებმა მალე გაირბინა. არადა, რომ მომენდომებინა, უფრო მაღალ დონეზეც ვითამაშებდი. ახლა კი ამაზე ფიქრი გვიანაა.

**— 1996 წელს სოჭის „ჟემჩუჟინაში" რომ გამოდიოდი, საამისოდ საუკეთესო შანსი მაშინ გქონდა...**

— მაშინ მართლაც კარგი პერიოდი მქონდა, მაგრამ რაღაც ისეთი მოხდა, რაც მხოლოდ საკუთართ თავს უნდა დავაბრალო — საქართველოს ჩემპიონატში რომ არ დავბრუნებულიყავი...

**— „ტორპედოს" ახალგაზრდა ფეხბურთელებიდან ვის გამოარჩევდი?**

— ამ სეზონის მიხედვით გაგა ჩხეტიანსა და დავით გამეზარდაშვილს გამოვარჩევ — მათ ბევრი რამ შეუძლიათ.

**— საქართველოს ჩემპიონობა კი ყველაზე უფრო ახლა რომელ გუნდს შეუძლია?**

— ძალიან კი მინდა, რომ ჩემპიონი კვლავ „ტორპედო" გახდეს, მაგრამ ჩვენ გაუთვალისწინებელი ქულები დავკარგეთ. ვფიქრობ, ჩემპიონი მაინც „დინამო" გახდება.

**დავით თაგართქილაძე**

# გოლი მე, გოლი შენ

## დემეტრაძემ გაიტანა და ჯამარაულსაც გაატანინა

**უკრაინაში** დაბრუნებული გიორგი დემეტრაძე ტურს უგოლოდ არ აცდენს. ამჯერად დემეტრაძისა და ჯამარაულის დონეცკის „მეტალურგმა" სტუმრად კიევში მესამე ადგილისთვის უშუალო კონკურენტი „არსენალი" 3:1 დაამარცხა. ერთი გოლი დემეტრაძემ გაიტანა, ერთიც მისი პასით გოჩა ჯამარაულმა.

— მიზანს მივუახლოვდით. „არსენალს" მოვუგეთ და მესამე ადგილზე წამოვსკუპდით, რაც უეფას თასის საგზურის მომტანია. „არსენალი" ჩვენი კონკურენტია და მასთან სტუმრად გამარჯვებამ ერთიორად გაგვახარა. ეს გუნდი ახლა უკან გვყავს მოტოვებული. ერთი გოლი თავად შევაგდე, ერთიც გოჩამ ჩემი პასით გაიტანა. უეფას საგზურის მოპოვების შანსი ახლა უფრო რეალურია. „დინამო" და „შახტარი" ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებენ, უკრაინის ჩემპიონატში მათი შემჩერებელი არავინაა. აი, მესამე-მეოთხე, საუეფო ადგილებისთვის კი ჩვენ, „არსენალი" და „დნიპრო" ვიბრძვით. ჯერჯერობით ამათზე წინ ვართ, თუმც კალენდარი უარესი გვაქვს — გვითხრა გიორგი დემეტრაძემ, როცა დონეცკში დავუკავშირდით.

— ვერ წარმოიდგენთ, თბილისიდან აქ ჩამოსულს რა ამბავი დამხვდა. მთელი „მეტალურგი" ბარში ყოფილა და მწვრთნელ-ფეხბურთელებიანად საქართველო — რუსეთის ერთად უცქერდნენ. თურმე გიჟებს ჰგავდნენ, თანაც გაკვირვებულნი იყვნენ, ასე თამაში თუ შეგიძლიათ, ყველასთან როგორ აგებთო. რუსების დამარცხება ქართველებზე არანაკლებ უკრაინელებს გაუხარდათ. ამათ იციან რუსების დამარცხების ფასი, ისინი ხომ კიევში დააჩოქეს.

**ძობა ინასარიძე**







ბაჩო კილასონიას ფოტო

# გადარჩა!

## ორბელაძისთვის სეზონი კრიმინალურად დამთავრდა

**3 მაისს,** ღამის 11-ის ნახევარზე რესპუბლიკურ საავადმყოფოში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და თბილისის „ლოკომოტივის" მცველი სერგო ორბელაძე მიიყვანეს.

ფეხბურთელი ბოროტმოქმედებმა ცეცხლსასროლი იარაღით ფეხში დაჭრეს. ორბელაძეს გადაუდებელი ოპერაცია პროფესორმა გურამ გვასალიამ გაუკეთა. ღვთის წყალობით, ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. ორბელაძეს ზრუნვა-ყურადღებას ექიმთა გარდა, ცხადია, არც ოჯახის წევრები და ახლობელ-მეგობრები აკლებენ.

ახალგაზრდული ნაკრების მცველი საავადმყოფოში მოვინახულეთ:

— ჭრილობიდან ტყვია ამომიღეს. ერთ თვეში მკურნალობის პროცესი დასრულდება. მაიმედებენ, ამ დროს ფეხზე დადგებიო. „ლოკომოტივი" ახალი სეზონისთვის რომ დაიწყებს შეკრებას, მეც მაშინ შევუერთდები გუნდს.

მომხდარი ფაქტი თავისთავად აღმაშფოთებელია. სადამდე უნდა გაგრძელდეს ფეხბურთელებზე ნადირობა? აკაკი დევაძე დაჭრეს, მამუკა წერეთელი დაჭრეს, ვასილ ლუჭაშვილი გაძარცვეს, გიორგი ქინქლაძის მამა დააყაჩაღეს, კახა კალაძეს ხომ საერთოდ ძმა მოსტაცეს...

**გიორგი ვაშაკიძე**

**ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ,** ბარის სიახლოვეს, დაბა ანდრიაში საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა კარი გაიჯახუნა, ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ეტაპის დასკვნით, მესამე ტურის მატჩში ოთარ კორღალიძის შეგირდებმა თანატოლი ლატვიელები მოდებაძის და მარცვალაძის გოლებით 2:0 დაამარცხეს. მოდებაძის გოლიდან ერთ წუთში მსაჯმა ქართველი ნახევარმცველი მურთაზ ბურნაძე დაითხოვა მინდვრიდან, ეს 54-ე წუთზე მოხდა. 70-ეზე კი თავი ზემოხსენებულმა მარცვალაძემ გამოიჩინა. ეგ კი არა, შეხვედრის ბოლოსკენ გიორგი რეხვიაშვილს რომ ეყოჩაღა, ასპროცენტიან მომენტს ხელიდან არ გაუშვებდა:

„ლატვიას ყველაფრით ვაჯობეთ. კლასით, სათამაშო თუ ტერიტორიული უპირატესობით, მომენტებიც საკმაოზე მეტი შევქმენით. ბურნაძე რომ გააძევეს, სანამ გადავეწყობოდით მეტოქემ მხოლოდ ორჯერ შემოგვიტია სახიფათოდ" — გვითხრა ოთარ კორღალიძემ, როცა გუშინ იტალიაში დავუკავშირდით.

ერთი სიტყვით, კორღალიძის მიზანი განუხორციელებელი დარჩა, საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ჯგუფში პირველი ადგილი, მასპინძელ იტალიის მოტოვება და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლა ვერ მოახერხა. მწვრთნელთა თქმით, მიზეზი არასათანადო და არასრულფასოვანი მომზადება ყოფილა.

**გიორგი ვაშაკიძე**

**III ტური**

**იტალია 2:0 ჩრდ. ირლანდია**

**საქართველო 2:0 ლატვია**

**1:0 მოდებაძე (53), 2:0 მარცვალაძე (70)**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 3 | 3 | 0 | 0 | 9:2 | 9 |
| საქართველო | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ლატვია | 3 | 1 | 0 | 2 | 2:6 | 3 |
| ჩრდ. ირლანდია | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. XXXII ტური** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 18.30 | 001 | მიუნხენი-კოტბუსი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 18.30 | 002 | დორტმუნდი-ნიურნბერგი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 003 | დორტმუნდი-ნიურნბერგი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 18.30 | 004 | ჰერტა-ბაიერნი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 18.30 | 005 | შტუტგარტი-ვერდერი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 18.30 | 006 | მიონხენგლადბახი-ჰანზა | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 18.30 | 007 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 1,85 | 3,4 | 3,6 | 1,19 | 1,22 | 1,74 |
| 18.30 | 008 | ვოლფსბურგი-ლაუტერნი | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 20.30 | 009 | შალკე-ჰანოვერი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 20.30 | 010 | არმინია-ბოხუმი | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXXIV ტური** | | | | | | |
| | | **9 მაისი** | | | | | | |
| 22.30 | 033 | ერფურტი-ბაიერნი(მ) | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 17.30 | 034 | ზაარბრიუკენი-უნტერჰახინგი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 17.30 | 035 | შვაინფურტი-ლაუტერნი(მ) | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 17.30 | 036 | აუგსბურგი-ჰოფენჰაიმი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 17.30 | 037 | ფულენდორფი-რეგენსბურგი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 17.30 | 038 | დარმშტადი-ელვერსბერგი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 17.30 | 039 | აალენი-ოფენბახი | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 18.00 | 040 | ზიგენი-კიკერსი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩი** | | | | | | |
| | | **7 მაისი** | | | | | | |
| 23.45 | 041 | არსენალი-საუთჰემპტონი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 042 | არსენალი-საუთჰემპტონი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. პლეი-ოფი. I მატჩები** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 16.15 | 053 | ნოტინგემი-შეფილდი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 21.30 | 054 | ვულვერჰემპტონი-რედინგი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. პლეი-ოფი. I მატჩები** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 19.00 | 055 | კარდიფი-ბრისტოლი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 19.00 | 056 | ოლდემი-ქუინზ პარკი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. პლეი-ოფი. I მატჩები** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 19.00 | 057 | ლინკოლნი-სკანთორპი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 19.00 | 058 | ბერი-ბორნმუთი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| | | **იტალია. სერია "A". XXXII ტური** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 18.00 | 059 | ბოლონია-ლაციო | 2,7 | 3,0 | 2,5 | 1,42 | 1,29 | 1,36 |
| 18.00 | 060 | ბრეშა-მილანი | 3,8 | 3,2 | 1,9 | 1,73 | 1,26 | 1,19 |
| 18.00 | 061 | კომო-კიევო | 3,8 | 3,3 | 1,7 | 1,76 | 1,17 | 1,12 |
| 18.00 | 062 | ემპოლი-ატალანტა | 2,1 | 2,9 | 3,6 | 1,21 | 1,32 | 1,6 |
| 18.00 | 063 | ინტერი-პარმა | 1,55 | 3,3 | 7,0 | 1,05 | 1,26 | 2,24 |
| 18.00 | 064 | იუვენტუსი-პერუჯა | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 065 | იუვენტუსი-პერუჯა 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 18.00 | 066 | პიაჩენცა-რეჯინა | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 18.00 | 067 | რომა-ტორინო | 1,1 | 4,0 | 8,0 | 1 | 1 | 2,66 |
| 18.00 | 068 | უდინეზე-მოდენა | 1,7 | 3,2 | 5,0 | 1,11 | 1,26 | 1,95 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. XXXIII ტური** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 20.00 | 106 | ატლეტიკო-ალავესი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 22.00 | 107 | უელვა-რეალი | 4,6 | 3,4 | 1,7 | 1,95 | 1,24 | 1,13 |
| 23.00 | 108 | ბილბაო-ვალიადოლიდი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 23.30 | 109 | ესპანიოლი-ოსასუნა | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,25 | 1,81 |
| 00.30 | 110 | მალიორკა-სოსიედადი | 3,0 | 3,2 | 2,25 | 1,54 | 1,28 | 1,32 |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 21.00 | 111 | სელტა-რასინგი | 1,5 | 3,5 | 7,0 | 1,04 | 1,23 | 2,33 |
| 21.00 | 112 | მალაგა-დეპორტივო | 3,5 | 3,2 | 2,0 | 1,67 | 1,27 | 1,23 |
| 22.00 | 113 | რაიო-ბეტისი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 23.00 | 114 | ვალენსია-ვილიარეალი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 115 | ვალენსია-ვილიარეალი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 24.00 | 116 | სევილია-ბარსელონა | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი. XXXV ტური** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 21.30 | 117 | ალბასეტე-ტენერიფე | 1,65 | 3,0 | 6,5 | 1,06 | 1,31 | 2,05 |
| 21.30 | 118 | სპორტინგი-კომპოსტელა | 1,9 | 2,8 | 4,6 | 1,13 | 1,34 | 1,74 |
| 21.30 | 119 | სერესი-ოვიედო | 1,8 | 2,9 | 4,8 | 1,11 | 1,3 | 1,8 |
| 00.30 | 120 | ლას პალმასი-კორდობა | 1,75 | 3,0 | 5,0 | 1,1 | 1,29 | 1,87 |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 15.00 | 121 | ლეგანესი-ფეროლი | 1,85 | 2,9 | 4,6 | 1,12 | 1,31 | 1,77 |
| 15.00 | 122 | ნუმანსია-სარაგოსა | 3,1 | 2,8 | 2,4 | 1,47 | 1,35 | 1,29 |
| 21.00 | 123 | სალამანკა-ლევანტე | 2,8 | 2,6 | 2,8 | 1,34 | 1,39 | 1,34 |
| 21.00 | 124 | ტერასა-ეიბარი | 2,0 | 2,8 | 4,2 | 1,16 | 1,35 | 1,67 |
| 21.00 | 125 | ეხიდო-მურსია | 3,0 | 2,7 | 2,5 | 1,42 | 1,36 | 1,29 |
| 21.00 | 126 | ელჩე-ხეტაფე | 2,1 | 2,8 | 3,8 | 1,19 | 1,35 | 1,61 |
| 22.00 | 127 | ბადახოსი-ალმერია | 2,3 | 2,8 | 3,3 | 1,26 | 1,35 | 1,51 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი. XXXVI ტური** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 20.15 | 128 | მონაკო-მონპელიე | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 129 | მონაკო-მონპელიე 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 23.00 | 130 | სედანი-ბასტია | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| 23.00 | 131 | ნანტი-გენგამი | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 23.00 | 132 | ბორდო-ლე ავრი | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 23.00 | 133 | ოსერი-ლილი | 1,55 | 3,4 | 6,5 | 1,06 | 1,25 | 2,23 |
| 23.00 | 134 | სოშო-მარსელი | 2,5 | 3,0 | 2,7 | 1,36 | 1,29 | 1,42 |
| 23.00 | 135 | აიაჩო-ნიცა | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |
| 23.00 | 136 | რენი-სტრასბური | 1,7 | 3,1 | 4,8 | 1,09 | 1,25 | 1,88 |
| 23.00 | 137 | ლანსი-ტრუა | 1,3 | 3,5 | 6,0 | 1 | 1,06 | 2,21 |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 24.00 | 138 | ლიონი-პსჟ | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი. XXXVI ტური** | | | | | | |
| | | **9 მაისი** | | | | | | |
| 23.00 | 139 | მეცი-გრენობლი | 1,4 | 3,8 | 8,0 | 1,02 | 1,19 | 2,57 |
| | 140 | მეცი-გრენობლი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 23.00 | 141 | ტულუზი-გენიონი | 1,4 | 3,8 | 8,0 | 1,02 | 1,19 | 2,57 |
| | 142 | ტულუზი-გენიონი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 23.00 | 143 | ბოვე-კაენი | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 23.00 | 144 | კრეტეი-ვალანსი | 1,9 | 2,9 | 4,4 | 1,14 | 1,32 | 1,74 |
| 23.00 | 145 | ისტრი-რეიმსი | 1,8 | 3,0 | 4,6 | 1,12 | 1,29 | 1,81 |
| 23.00 | 146 | ლე მანი-კლერმონი | 1,4 | 3,8 | 8,0 | 1,02 | 1,19 | 2,57 |
| | 147 | ლე მანი-კლერმონი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 23.00 | 148 | ლორიანი-ამიენი | 1,5 | 3,4 | 7,5 | 1,04 | 1,25 | 2,33 |
| 23.00 | 149 | ნიორი-შატორუ | 2,3 | 2,9 | 3,2 | 1,28 | 1,33 | 1,52 |
| 23.00 | 150 | სტ.ეტიენი-ლავალი | 1,85 | 3,0 | 4,4 | 1,14 | 1,3 | 1,78 |
| 23.00 | 151 | ვასკეალი-ნანსი | 2,0 | 2,9 | 4,0 | 1,18 | 1,33 | 1,68 |
| | | **პორტუგალია. II ლიგა. XXXI ტური** | | | | | | |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 19.00 | 164 | მადეირა-ალვერკა | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,29 | 1,39 |
| 19.00 | 165 | ნავალი-ავეში | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 19.00 | 166 | შავეში-კოვილია | 1,8 | 3,0 | 4,6 | 1,12 | 1,29 | 1,81 |
| 19.00 | 167 | ფარენსე-ოვარენსე | 1,75 | 3,1 | 4,8 | 1,11 | 1,28 | 1,88 |
| 19.00 | 168 | სალგეირუში-რიუ ავე | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 19.00 | 169 | ამადორა-მარკუ | 1,55 | 3,4 | 6,5 | 1,06 | 1,25 | 2,23 |
| 19.00 | 170 | მაია-პენაფიელი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 171 | ფელგეირაში-პორტიმონენსე | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ბელგია. I დივიზიონი. XXXII ტური** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 23.00 | 197 | ლუვენი-შარლერუა | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 23.00 | 198 | ვესტერლო-ანტვერპენი | 2,05 | 3,1 | 3,5 | 1,23 | 1,29 | 1,64 |
| 23.00 | 199 | სტ.ტრუიდენი-ლიერსი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 23.00 | 200 | სტანდარდი-გენკი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 18.00 | 201 | ბევერენი-მუსკრონი | 2,05 | 3,5 | 3,1 | 1,29 | 1,23 | 1,64 |
| 18.00 | 202 | ბეერსხოტი-მონსი | 1,95 | 3,4 | 3,4 | 1,23 | 1,23 | 1,7 |
| 23.00 | 203 | ლოკერენი-ბრიუგე | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| | | **პოლონეთი. XXV ტური** | | | | | | |
| | | **9 მაისი** | | | | | | |
| 22.00 | 238 | გროცლინი-ვიძევი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 239 | გროცლინი-ვიძევი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 20.00 | 240 | ზაგლები-ლეხი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 22.00 | 241 | რუხი-გარბარნია | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 22.30 | 242 | ვისლა-ოდრა | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 20.00 | 243 | ლეგია-პლოცკი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 244 | ლეგია-პლოცკი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 21.30 | 245 | გურნიკი-კატოვიცე | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| | | **თურქეთი. XXXI ტური** | | | | | | |
| | | **9 მაისი** | | | | | | |
| 22.00 | 246 | ფენერბაჰჩე-ქოჯაელი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 21.00 | 247 | ადანა-ბეშიქთაში | 4,6 | 3,6 | 1,65 | 2,01 | 1,21 | 1,13 |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 18.30 | 248 | ანკარაგიუჯიუ-ტრაბზონი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 18.30 | 249 | გაზიანთეპი-გიოზთეპე | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 18.30 | 250 | დენიზლი-დიარბაქირი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 18.30 | 251 | მალათია-ისთანბული | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 18.30 | 252 | ელაზიგი-ბურსა | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| 18.30 | 253 | ალთაი-სამსუნი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 21.00 | 254 | გალათასარაი-გენჩლერბირლიგი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა. გადადებული მატჩი** | | | | | | |
| | | **7 მაისი** | | | | | | |
| 23.45 | 255 | მაზერუელი-სელტიკი | 10,0 | 5,0 | 1,2 | 3,33 | 1,07 | 1 |
| | | **დანია. XXVII ტური** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 20.00 | 285 | ფარუმი-კოპენჰაგენი | 2,5 | 3,3 | 2,45 | 1,42 | 1,23 | 1,4 |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 18.00 | 286 | კიოგე-მიდტიულანდი | 3,1 | 3,3 | 2,15 | 1,59 | 1,26 | 1,3 |
| 18.00 | 287 | ოდენსე-ოლბორგი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 18.00 | 288 | სილკებორგი-ესბიერგი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 18.00 | 289 | ვიბორგი-აკადემისკი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 20.35 | 290 | ბრიონდბიუ-ორჰუსი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 291 | ბრიონდბიუ-ორჰუსი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| | | **ავსტრია. XXXIII ტური** | | | | | | |
| | | **10 მაისი** | | | | | | |
| 18.30 | 292 | ბრეგენცი-ადმირა | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 293 | პაშინგი-კერნტენი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 18.30 | 294 | რაპიდი-რიდი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 18.30 | 295 | ზალცბურგი-აუსტრია | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 19.30 | 296 | გრაცერი-შტურმი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| | | **შვეიცარია. A ჯგუფი. X ტური** | | | | | | |
| | | **8 მაისი** | | | | | | |
| 22.30 | 297 | გრასჰოპერი-თუნი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 298 | გრასჰოპერი-თუნი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 22.30 | 299 | იანგ ბოიზი-ვილი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 23.15 | 300 | ბაზელი-ციურიხი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 301 | ბაზელი-ციურიხი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 23.15 | 302 | ქსამაქსი-სერვეტი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| | | **საბერძნეთი. თასი. ½ ფინალი. II ეტაპი** | | | | | | |
| | | **7 მაისი** | | | | | | |
| 22.00 | 345 | პაოკ-აეკ | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| | | **ჩეხეთი. თასი. ½ ფინალი.** | | | | | | |
| | | **7 მაისი** | | | | | | |
| 20.00 | 346 | ზლინი-იაბლონეცი | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 20.00 | 347 | ბუდეიოვიცე-ტეპლიცე | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| | | **პოლონეთი. თასი. ფინალი. I ეტაპი.** | | | | | | |
| | | **7 მაისი** | | | | | | |
| 21.00 | 348 | ვისლა-პლოცკი | 1,3 | 4,2 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,75 |
| | | **დანია. თასი. ½ ფინალი. II ეტაპი.** | | | | | | |
| | | **8 მაისი** | | | | | | |
| 21.30 | 349 | ოლბორგი-ბრიონდბიუ | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 23.15 | 350 | მიდტიულანდი-ვიბორგი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| | | **შვეიცარია. თასი. ფინალი.** | | | | | | |
| | | **11 მაისი** | | | | | | |
| 18.00 | 351 | ბაზელი-ქსამაქსი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა. ½ ფინალი. I ეტაპი.** | | | | | | |
| | | **7 მაისი** | | | | | | |
| 23.45 | 353 | მილანი-ინტერი | 2,45 | 2,9 | 2,9 | 1,32 | 1,32 | 1,45 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **1/8 ფინალი. II ეტაპი** | | | | | | |
| | | **7 მაისი** | | | | | | |
| 05.40 | 356 | სანტოსი-ნასიონალი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | | **8 მაისი** | | | | | | |
| 03.10 | 357 | კობრელოა-უნამ | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 05.40 | 358 | გრემიო-ოლიმპია | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | | **კალათბურთი** | | | | | | |
| | | **იტალია. 1/8 ფინალი.** | | | | | | |
| | | **7 მაისი** | | | | | | |
| 23.30 | 610 | სკიპერი-ტრიესტი | 1,2 | 12,0 | 3,5 | 1,09 | 1 | 2,7 |
| 23.30 | 611 | ნაპოლი-ბიელა | 1,25 | 12,0 | 3,1 | 1,13 | 1 | 2,46 |
| 23.30 | 612 | როზეტო-კალაბრია | 1,3 | 12,0 | 2,8 | 1,17 | 1 | 2,27 |

## კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **7 მაისი** | | | | | | | | | |
| 23.45 | 2102 | მილანი-ინტერი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,2 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 23.45 | 2103 | არსენალი-საუთჰემპტ. | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,3 | 4,8 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **7 მაისი** | | | |
| 23.45 | 2502 | მილანი-ინტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2503 | არსენალი-საუთჰემპტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

**7 მაისი**

23.45 2402 მილანი-ინტერი ---------------------- 1,85 -------------------------------- 1,95
23.45 2403 არსენალი-საუთჰემპტონი ---------- 1,3 -------------------------------- 3,4

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

------------------------------------------ კი ------------------------------------ არა

**7 მაისი**

23.45 2302 მილანი-ინტერი ---------------------- 1,65 -------------------------------- 1,95
23.45 2303 არსენალი-საუთჰემპტონი ---------- 1,7 -------------------------------- 1,9

### I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **I ტაიმის შედეგი** | | | | | | |
| | | **7 მაისი** | | | | | | |
| 23.45 | 2002 | მილანი-ინტერი | 3,0 | 2,05 | 3,3 | 1,21 | 1,57 | 1,26 |
| 23.45 | 2003 | არსენალი-საუთჰემპტონი | 1,75 | 2,45 | 6,0 | 1,02 | 1,35 | 1,73 |

**შემდეგ ეტაპზე გასვლა**

**7 მაისი**

23.45 1002 მილანი-ინტერი ---------------------- 1,8 -------------------------------- 1,8

### რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

**7 მაისი**

23.45 2202 მილანი-ინტერი ---------------------- 1,75 -------------------------------- 1,85
23.45 2203 არსენალი-საუთჰემპტონი ---------- 1,8 -------------------------------- 1,8


**სამ თბილისურ ბიუროში**

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი

[illegible] შაბათ-კვირას სამუშაო დრო გაახანგრძლივა

**შაბათი 12.00–21.30**
**კვირა 12.00–20.30**

# აგასჰიუიტიანი ადი-ჩადი

## რამდენი ანგელოზი ეტევა ნემსის ყუნწზე?





REUTERS

დავიდ ფერერთან წაგება ანდრე აგასის მარტო ეწყინა კი არა, ეტკინა კიდეც

*ნინა უქმეების მერმინდელ რეიტინგსიაში ანდრე აგასი კვლავ პირველია, ოღონდ კვირა ჩათავდება და ახალი, მგორავი რეიტინგსიის პირველ საფეხურზე დარბაისელ აგასის ძველი, მაგრამ ახალგაზრდა მეპირველე ლეიტონ ჰიუიტი შეცვლის. ქალთა ნუსხაში ერთი ადგილით წაიწია მანამდე მესამე ვინუს უილიამსმა, რომელიც თავის მტერ-მოყვარეს, დაიკო სერენას ქვემოდან მიადგა*



ლეიტონ ჰიუიტი ისევ მოვიდა

### ჩემპიონთა რბოლა

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | (1) | ანდრე აგასი (აშშ) | 371 |
| 2 | (4) | ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 262 |
| 3 | (3) | რაინერ შუტლერი (გერმანია) | 248 |
| 4 | (2) | კარლოს მოია (ესპანეთი) | 247 |
| 5 | (5) | როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 226 |
| 6 | (6) | ენდი როდიკი (აშშ) | 186 |
| 7 | (7) | გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) | 172 |
| 8 | (8) | გილერმო კორია (არგენტინა) | 166 |
| 8 | (8) | ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 166 |
| 10 | (12) | ავგუსტინ კალერი (არგენტინა) | 137 |
| 11 | (10) | ვინს სპედია (აშშ) | 136 |
| 12 | (11) | იუნეს ელ აინაუი (მაროკო) | 134 |
| 13 | (13) | უეინ ფერეირა (სამხრეთ აფრიკა) | 125 |
| 14 | (14) | პარადორნ შრიჩაფანი | 112 |
| 15 | (15) | ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 106 |
| 16 | (16) | ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 102 |
| 17 | (17) | ფელიქს მანტია (ესპანეთი) | 97 |
| 18 | (18) | მაქს მირნი (ბელარუსი) | 94 |
| 19 | (19) | ჟან-მაიკლ გემბილი (აშშ) | 92 |
| 19 | (20) | მარატ საფინი (რუსეთი) | 92 |
| 19 | (31) | ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) | 92 |

### 12-თვიანი მგორავი რეიტინგსიები

#### კაცები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | (1) | ანდრე აგასი | 4 395 |
| 2 | (2) | ლეიტონ ჰიუტი | 4 295 |
| 3 | (3) | ხუან კარლოს ფერერო | 3 275 |
| 4 | (4) | კარლოს მოია | 3 035 |
| 5 | (5) | როჯერ ფედერერი | 2 545 |
| 6 | (6) | ენდი როდიკი | 2 305 |
| 7 | (7) | მარატ საფინი | 2 150 |
| 8 | (8) | ალბერტ კოსტა (ესპანეთი) | 1960 |
| 9 | (9) | ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) | 1951 |
| 10 | (10) | პარადორნ შრიჩაფანი (ტაილანდი) | 1885 |
| 11 | (11) | სხენგ შალკენი (ჰოლანდია) | 1770 |
| 12 | (12) | დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 1745 |
| 13 | (13) | რაინერ შუტლერი | 1650 |
| 14 | (14) | სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) | 1645 |
| 15 | (15) | გუსტავო კუერტენი | 1620 |
| 16 | (16) | გილერმო კორია | 1450 |
| 17 | (18) | ალექს კორაჩა (ესპანეთი) | 1380 |
| 18 | (19) | ტომი ჰაასი (გერმანია) | 1305 |
| 19 | (20) | ტომი რობრედო (ესპანეთი) | 1295 |
| 20 | (21) | ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 1276 |

#### ქალები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | (1) | სერენა უილიამსი (აშშ) | 7 055 |
| 2 | (3) | ვინუს უილიამსი (აშშ) | 4 508 |
| 3 | (2) | კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 4 312 |
| 4 | (4) | ჟუსტინ ენენ-არდენი (ბელგია) | 3 819 |
| 5 | (5) | ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 3 304 |
| 6 | (7) | ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 3 041 |
| 7 | (6) | ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) | 2 883 |
| 8 | (8) | ჩანდა რუბინი (აშშ) | 2 524 |
| 9 | (9) | დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 2 509 |
| 10 | (11) | ანასტასია მისკინა (რუსეთი) | 2 265 |
| 11 | (10) | ელენა დოკიჩი (იუგოსლავია) | 2 224 |
| 12 | (12) | მონიკა სელეში (აშშ) | 1864 |
| 13 | (13) | ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1687 |
| 14 | (14) | მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) | 1624 |
| 15 | (15) | ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) | 1573 |
| 16 | (16) | ელენა ბოვინა (რუსეთი) | 1489 |
| 17 | (17) | აი სუგიამა (იაპონია) | 1485 |
| 18 | (18) | ამანდა კუტცერი (სამხრეთ აფრიკა) | 1467 |
| 19 | (19) | მეგენ შონესი (აშშ) | 1456 |
| 20 | (21) | ანა პისტოლეზი (ისრაელი) | 1397 |

**TELECOM ITALIA MASTERS ROMA**
**რომი. თიხნარი**
**საპრიზო 2,45 მილიონი ევრო**

**პირველი წრე**

**დავიდ ფერერი (ესპანეთი) — ანდრე აგასი (1, აშშ) 0:6, 7:6 (7:3), 6:4; ენდი როდიკი (5, აშშ) — ანდრეა გაუდენცი (იტალია) 6:2, 6:3; ალბერტ კოსტა (7, ესპანეთი) — ზელკო კრაიანი (ხორვატია) 6:4, 7:5; ირჟი ნოვაკი (8, ჩეხეთი) — უეინართურსი (ავსტრალია) 6:3, 6:3; ალბერტო მარტინი (ესპანეთი) — სხენგ შალკენი (10, ჰოლანდია) 2:6, 6:3, 6:1; ფელიქს მანტია (ესპანეთი) — დავიდ ნალბანდიანი (11, არგენტინა) 6:3, 1:6, 6:0; რაინერ შიუტლერი (12, გერმანია) — მაგნუს ნორმანი (შვედეთი) 7:6 (9:7), 7:5; გილერმო კორია (15, არგენტინა) — ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) 6:2, 6:1; არნო კლემანი (საფრანგეთი) — დავიდე სანგვინეტი (იტალია) 6:1, 6:3**

ვაგლახ — მხოლოდ ერთკვირიანი გამოდგა ამ ჯერზე 33 წლის უებრო არმენოამერიკელის, ანდრე აგასის პირველმეჩოგნეობა.

გეხსომებათ — წინისწინა კვირაში რვაგზის მესლემტიტულე ჯადოკაცმა ჰიუსტონურ თიხნარზე კარიერის 58-ე ტიტული მოიმკა და ეიტიპის რეიტინგსიათა ისტორიაში ამ სიის უხუცესი მეპირველე შეიქნა.

მისი ჰიუსტონჩოგნაობა ისეთი შაბაშ საცქერი რამ იყო, რომ საქმეში ჩახედულმა ხალხმა უყოყმანოდ ივარაუდა — რომაულ მასტერსტურნირზე შარშან მოპოვებულ ტიტულს მას წლეულს ძვირად თუ ვინმე შეეცილებოდა.

აპრუწუწუნ!

რომაულ ზეპურ თიხნარზე აგასიმ პირველსავე წრეში ჩაიფლავა და — რაკილა შარშანდელი ჩემპიონი გახლდათ — მომავალ ორშაბათს გამოქვეყნებულ რეიტინგსიაში კვლავ მეორე ადგილამდე ჩაისრიალებს.

ლეიტონ ჰიუიტი, ვინაც აგასის მოულოდნელი წაფორხილების გამო ამქრის უსტაბაშის წოდებას იმ კვირიდან ხელახლა შეირგებს, ამ კვირაში არც რომში ჩასულა. მას გადაუწყვეტია, გვიანმაისში დასაწყები როლან გაროსისთვის ხეირიანად დაისვენოს. ოღონდ რისგან ისვენებს კისკასი ოზბიჭი, ეგ ცოტა გაუგებარი ამბავია — მან ხომ წლეულს მხოლოდ 16 მატჩი გამართა და თებერვლიდან მოყოლებული ხელი აღარსად გაუნძრევია...

ახლა პირველსავე სიტყვას მოვიდეთ.

21 წლის ესპანელ ფერერამდე შეხლისას აგასის 24 საამსეზონო ბრძოლა გადაეხადა და აქედან მხოლოდ ერთხელ ძლეულიყო. ფერერი კი, ვინაც კარიერის ერთადერთი ტიტული შარშან ბუქარესტში მოირეწა, რომში ისე ჩავიდა, ზურგსუკან რვაწაგებიანი შლეიფი ჩაიყოლა.

როცა აგასიმ პირველი სეტი პირწმინდად მოიგო, ყველამ იფიქრა, რომ ის მორიგ უღიმღამო გამარჯვებას ჩაიჯიბავდა. მაგრამ ესპანელი უეცრად გაშმაგდა და ისე საუცხოოდ აბურთავდა, ისე-რა მეჩოგნეებს სეზონში, ჰა-ჰა, ერთნახევარჯერ რომ ემართებათ.

მან დღეს თავისი საუკეთესო თამაში ვერ აჩვენა, მე კი ცხოვრების საუკეთესო მატჩი ვითამაშეო, ამბობდა მერე ფერერი.

„12 წლის ბიჭი ვიყავი, ანდრე პირველად რომ ვნახე. მას შემდეგ ის ჩემი კერპია. ადრე ვერც კი ვინატრებდი, მასთან მეთამაშა. გუშინ სატურნირო ბადეს რომ ჩავხედე, ვიფიქრე, აუუ, ვის უნდა ვეთამაშო-მეთქი... ამიტომ პირველ სეტში მაგრად ვინერვიულე. მერე კი ნელ-ნელა დავწყნარდი — ბოლო-ბოლო, დასაკარგი რა მქონდა. თამაშიც სწორედ დამშვიდებამ მომაგებინა."

აგასი: „თავიდან ყველაფერს ვაკონტროლებდი. მერე კი ის გაშმაგდა, მე კი გაზიდან ფეხი ავიღე... რეიტინგსიის პირველობის დაკარგვას ისე არ განვიცდი, როგორც იმას, რომ რომში ჩამოსულმა პირველსავე წრეში ჩავიფლავე... თორემ ლეიტონი და მე წლეულს ერთმანეთს კიდევ რამდენჯერმე ჩავენაცვლებით."

სხვაფრივ:

იმ დღეს კიდევ ორი განთესილი — შალკენი (10) და ნალბანდიანი (11) ალტეს და აგასის დარად — ორივე ესპანელმა (და, სხვათა შორის, ასევე სამსეტიანი განდაგანების შედეგად). შალკენს მარტინი მოერია, ნალბანდიანს — მანტია.

მეექვსე ნომრად განთესილმა მარატ საფინმა კვირას მარცხენა მაჯა დაიჭიმა და მოსკოვში დაბრუნდა, რათა დაჭიმული იქაურ დასტაქრებს აჩვენოს. მის სანაცვლოდ ძირითად ბადეში ჩილელი მასუ „გაეხვა".



კიმ კლაისტერსმა ბერლინში ათამაშებამდე გვარიანად იხალისა

**MASTERCARD GERMAN OPEN**
**ბერლინი. თიხნარი**
**საპრიზო 1,242 მილიონი $**

**პირველი წრე**

**დინარა საფინა (რუსეთი) — ელენა დემენტიევა (11, რუსეთი) 2:6, 6:2, 1:0 დემენტიევამ შეწყვიტა; მარი-გაიანე მიქაელიანი (შვეიცარია) — აი სუგიამა (13, იაპონია) 6:1, 7:5; ნატალი დეში (17, საფრანგეთი) — კლარისა ფერნანდესი (არგენტინა) 6:0, 6:4; მაგი სერნა (ესპანეთი) — სილვია ფარინა ელია (იტალია) 6:3, 6:4**

ბერლინურმა თიხნარობამ სერენა უილიამსი კაი ხნის წინ მოისაკლისა — ბაყვბაყვდევმა წლიური განრიგი შეიხალვათა და როლან გაროსამდე დიდ ტურნირებს მოერიდა. ტურნირის ორგანიზატორებს იმის იმედი ჰქონდათ, რომ ადგილობრივ პუბლიკას ვინუსით მაინც მიიზიდავდნენ, მაგრამ დახეთ უიღბლობას — უფროსმა შავდამ ვარშავულ ფინალში ქვედამუცელი ანუ ბოქვენი დაიჭიმა და ფინალი რომ ვერ დაამთავრა, ერთია, მაგრამ ავტომატურად ბერლინში ჩასვლაც გამოერიცხა.

უუილიამსებო ბერლინობას ვინ რაში აქნევს. ტურნირის სპონსორები აქამდეც აჯაგრულები იყვნენ, რაკილა — გერმანიაში ჩოგბურთის პოპულარობის საოცარი კლების გამო — სარგებელი ისედაც არ ჰქონდათ, ხოლო უილიამსთა არჩასვლის შედეგად კი მეფული ხალხი სულაც დაფინანსების შეწყვეტით დაიმუქრა.

ტურნირის მთავარ ჩოგნებს უილიამსების არყოფნაში ბელგიელები — კიმ კლაისტერსი და ჟუსტინ ენენ-არდენი გააქნევენ. ყველაზე სახელიანი გერმანელი, ვინაც იქ უნდა გაირჯეს, ანკა ბარნა იქნება. ანკა კი კლასიფიკაციაში ოდენ 73-ე საფეხურზე დგას. ამიტომ თავადვე შეგიძლიათ განსაჯოთ, რა სიხარულით ეგებებიან ბერლინელები ამ ტურნირს.

**ლევან ძელაურაძე**

NHL სტენლის თასი. მეორე წრე ოთხ მოგებამდე

# იხვის ნეხვი 2

## ანაჰაიმმა დალასიც მოინელა

*„ძლავრმა იხვებმა“ მეექვსე მატჩი მოიგეს და კიდევ ერთი მონსტრი, დალასი მოინელეს. ისინი თასის ნახევარფინალში ანუ კონფერენციის ფინალში ითამაშებენ, თავიანთ ისტორიაში პირველად. 1994 წლის შემდეგ, რაც ლიგამ საკონფერენციო განთესვა შემოიღო, არ მომხდარა, რომ ერთ გუნდს პირველი და მეორე განთესილი დაემარცხებინოს.*




REUTERS ანაჰაიმიდან

ანაჰაიმელმა სტივ ტომასმა დალასის კარში შაიბა ტყვიასავით ჩაჭედა

5 მაისი

### დასავლეთი

### დალასი 2:4 ანაჰაიმი

**ანაჰაიმი 4:3 დალასი 0:1 2:1 2:1**

**0:1 მიულერი (6), 1:1 ტომასი (23), 2:1 ჩისტოვი (25), 2:2 კაპანენი (35), 3:2 სალეი (44), 3:3 მოროუ (55), 4:3 ოზოლინში (59)**

მერე რა მოხდება, არავინ იცის, მაგრამ ანაჰაიმმა სასწაული უკვე მოახდინა და მხოლოდ იმით კი არა, რომ ორი ბობოლა გამოთიშა თასისთვის ბრძოლას, არამედ იმით, თუ როგორ მოახერხა ეს. ვერც ვარსკვლავთა სახელების ჯადომ, ვერც მათმა ოინებმა და ვერც მსაჯთა არაობიექტურობამ ვერ გატეხა ეს გუნდი. თუნდაც ბოლო მატჩი ავიღოთ. მესამე პერიოდში (ამ მომენტისთვის ანაჰაიმი 3:2 იგებდა) მასპინძელთა კარში ორი საეჭვო გოლი გავიდა. ჯერ კლოდ ლემიემ ანაჰაიმის მეკარე ჟან სებასტიან ჟიგერს ყვანჯი დააგდებინა ხელიდან, შემდეგ კი ბრენდან მოროუმ ციგურით განზრახ შეუცვალა შაიბას მიმართულება. ორივე შემთხვევაში აშკარად დაირღვა წესები, მაგრამ არბიტრებმა მხოლოდ პირველი შემთხვევა მიიღეს მხედველობაში, მეორედ კი აღარ გაანაწყენეს მრისხანე დალასი. ეს 55-ე წუთზე მოხდა და ასეთ შემთხვევაში თითქმის ყველა გუნდი შეეცდებოდა, მატჩი ოვერტაიმამდე მიეყვანა. მით უმეტეს, რომ წლეულს ანაჰაიმს დამატებით დროში ბედი სწყალობდა, მაგრამ მასპინძლებმა სხვა გზა არჩიეს — მათ იგრძნეს, რომ დალასს ანგარიშის გასათანაბრებლად დიდი ძალისხმევა დასჭირდა, მკვეთრად უმატეს ტემპს და მიაღწიეს კიდეც მიზანს. იღბლიანი მაიკ ლეკლერკის დარტყმა მეკარემ კი მოიგერია, მაგრამ დამატებაზე სანდის ოზოლინშმა იმარჯვა.

— ოზოლინშს გოლის გატანაში იღბლიანმა რიკოშეტმა უშველა და საერთოდ, ბედი მეტოქეს სწყალობდა — განაცხადა მატჩის შემდეგ დალასელმა მაიკ მოდანომ. ტეხასელთა თავკაცი დეივ ტიპეტი კი გაცილებით ობიექტური გახლდათ: „ანაჰაიმმა საუცხოოდ ჩაატარა მთელი სერია. გაოცებული ვარ. ამ გუნდმა არც ერთი უხეში შეცდომა არ დაუშვა“. ასე რომ, ანაჰაიმმა დეტროიტს დალასიც მიაყოლა. ვინ იქნება შემდეგი?

### ვანკუვერი 3:2 მინესოტა

**ვანკუვერი 2:7 მინესოტა 1:1 1:5 0:1**

**0:1 პარკი (4), 1:1 მორისონი (19), 1:2 რონინგი (22), 1:3 მარშალი (28), 1:4 ბრუნეტი (31), 1:5 გაბორიკი (33), 1:6 რონინგი (37), 2:6 ჰ. სედინი (40), 2:7 ულცი (55)**

ანაჰაიმის შემდეგი მეტოქე ჯერ ვერ გაირკვა. წინა ოთხ მატჩში მინესოტას აშკარად არ სწყალობდა ბედი — ორ თამაშში „ველურებმა“ ძირითადი დროის ბოლო წუთებზე გაათანაბრებინეს მეტოქეს ანგარიში და მძიმე სიტუაციაში ჩაცვივდნენ, მაგრამ ამჯერად განგებამ სხვაგვარად განსაჯა. მეორე პერიოდში სტუმრებმა პირდაპირ დასეტყვეს ვანკუვერის კარი, რამაც მასპინძელთა მეკარე დან კლუტიე მწყობრიდან გამოიყვანა. პერიოდის დასრულებისთანავე იგი თავის მინესოტელ კოლეგას ეცა და მუშტი-კრივი გაუმართა, აჯობა კიდეც, თუ ეს კანადურ კლუბს მიღწევად ჩაეთვლება.




REUTERS ვანკუვერიდან

გაგონილა, მეკარე მეკარეს სცემდეს?! ვანკუვერელმა დან კლუტიემ და მინესოტელმა დუეინ როულსონმა ერთმანეთს დაჰკრეს

### აღმოსავლეთი

### ოტავა 4:2 ფილადელფია

**ფილადელფია 1:5 ოტავა 0:2 1:2 0:1**

**0:1 შეფერი (3), 0:2 ფიშერი (7), 0:3 ალფრედსონი (35), 0:4 სმოლინსკი (37), 1:4 ჰანდზუში (39), 1:5 ჰავლატი (54)**

როგორც ჩანს, ბობი კლარკს არ უწერია თასის მოგება. ფილადელფიის გენერალურმა მენეჯერმა რა არ მოიმოქმედა 5 წლის განმავლობაში, არაერთხელ შეცვალა მწვრთნელი (ჰოკეისტებზე ხომ აღარაფერს ვამბობთ), მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ახლა ხომ ყველაზე ძნელი ასატანი იქნებოდა მარცხი, რადგან მისი გუნდი გაკოტრების პირას მდგარმა ოტავამ დაამხო. ბოლო ორმა თამაშმა „სენატორთა“ აშკარა უპირატესობით ჩაიარა. წინა შეხვედრაში „მფრინავებს“ კიდევ ჰქონდათ რაღაც შანსი, მაგრამ ამ ჯერზე ოტავამ უყოყმანოდ მიუთითა მეტოქეს კარისკენ. უკვე მე-3 წუთზე მარტინ ჰავლატმა პეტერ შეფერს ვარდნაში საოცარი პასით გაატანინა. მერე მაიკ ფიშერმა უმცირესობაში შეაგდო და მიუხედავად იმისა, რომ მატჩის დასრულებამდე საკმაო დრო რჩებოდა, ყველამ, მათ შორის მასპინძლებმაც, შეიგნეს, რომ ყველაფერი დასრულდა.

„დამიჯერეთ, ეს გუნდი შორს წავა. ასე თავდაჯერებით და ორგანიზებულად ამ პლეი ოფში არავის უთამაშია“ — თქვა ფილადელფიის თავკაცმა კენ ჰიჩკოკმა. ვნახოთ, რას იზამს ოტავას მომდევნო მეტოქე ნიუ ჯერსი.

მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინეთი

26 აპრილი - 11 მაისი

# САУ-НА!

## რუსული კომენტარი: ბლია-ბლია



REUTERS ტურკუდან

რუსების იმედი ცაშია

**ზედიზედ** მესამე მარცხის შემდეგ რუსეთის ნაკრებმა თავისი ბედი სხვას მიანდო — ახლა შვედებსა და დანიაზე უნდა ილოცონ. პირველთ შვეიცარია უნდა დაამარცხონ, მეორემ კი ერთი ქულა მაინც უნდა აართვას ლატვიას, რათა რუსებს ეშველოთ და ეს სულაც არ გახლავთ ფანტასტიკის სფერო, მაგრამ... დანიელებს მოტივაცია აღარ აქვთ, მეოთხედფინალში ვეღარ გადიან; შვედებმა კი უნდა მოუგონ შვეიცარიას, მაგრამ ამ შემთხვევაში ისინი მეოთხედფინალში ფინეთს ეჯახებიან, მარცხის შემთხვევაში კი — ჩეხეთს. არავინ იცის, ამ ორი გუნდიდან რომელი უფრო სასურველია, მაგრამ მოინდომებენ შვედები მასპინძლებთან ჭიდილს? სამშობლოში ხომ ფინეთთან მარცხს არავინ აპატიებთ. ვნახოთ, სულ მალე ყველაფერი გამოჩნდება.

წინა მატჩებში მარცხს რუსთა თავკაცობა უიღბლობითა და მსაჯების უნამუსობით ხსნიდა, ამჯერად კი აღიარა, რომ კანადამ ღირსეულად მოიგო. არადა, რუსებს ფრეც კი დაუბევებდა პლეი ოფში ადგილს. თავიდან თითქოს ბედმაც გაუღიმათ, როცა რიკოშეტის შემდეგ გოლი გაიტანეს, მაგრამ შემდეგ კანადელებმა ქაოსური და უდისციპლინო თამაშისთვის ოსტატურად დასაჯეს მეტოქე და ჯგუფში პირველი ადგილი გაინაღდეს. „როგორ უნდა მოიგო, როცა გუნდის ლიდერები თამაშის წინ დროს საუნასა და აუზში ატარებენ. ზედამხედველი ხომ არ ვარ, რომ მუდამ თავზე დავადგე“ — დაიჩივლა რუსთა მწვრთნელმა პლიუშჩევმა.

რუსთა უნიათობასა და სხვა მრავალ სიურპრიზს გადაყოლილებმა მიმოხილვებში საკადრისი პატივი ვერ მივაგეთ ბრწყინვალედ მოასპარეზე ჩეხებსა და სლოვაკებს. ორშაბათს ეს გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს და ჩინებული სპექტაკლი მოაწყეს. თავიდან ჩეხები დაწინაურდნენ 3:1, მაგრამ სლოვაკებმა პავოლ დემიტრასა და ლადისლავ ნადის (ისინი გუნდს ბოლო დღეებში შეუერთდნენ) ძალისხმევით გაათანაბრეს. დემიტრას გამოჩენის შემდეგ სლოვაკთა შემტევი ხაზი კიდევ უფრო ვარსკვლავური გახდა. პალფი — შტუმპელი — ზედნიკი და ბონდრა — დემიტრა — შატანი, ორი ასეთი სამეულით თითოოროლა ნჰლ-ური კლუბი თუ დაიკვეხნის.

მე-13-მე-16 ადგილებისთვის შეჯიბრში აშშ გონს მოვიდა და უმაღლეს დივიზიონში შეინარჩუნა ადგილი. ამერიკელებმა ძირითად მეტოქე ბელარუსს 4:2 მოუგეს და ისინი განდევნეს B კლასში. მათი ბედი სლოვენიამაც გაიზიარა, ხოლო იაპონია, როგორც აზიის ერთადერთი გუნდი, კვლავ გადაურჩა გავარდნას, თუმც გაისად ეს ვეღარ უშველის.

**სამველ ღარიბიანი**




REUTERS ტურკუდან

კანადელი შეინ დოუნი რუსთა მეკარე ეგორ პოდომაცკის კარში შეუვარდა

| E ჯგუფი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი 3:3 სლოვაკეთი | | | | | |
| სლოვაკეთი | 4 | 1 | 0 | 27:9 | 9 |
| ჩეხეთი | 4 | 1 | 0 | 22:7 | 9 |
| ფინეთი | 2 | 0 | 2 | 16:8 | 4 |
| გერმანია | 2 | 0 | 2 | 9:9 | 4 |
| უკრაინა | 0 | 0 | 4 | 6:26 | 0 |
| ავსტრია | 0 | 0 | 4 | 4:25 | 0 |

| F ჯგუფი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კანადა 5:2 რუსეთი | | | | | |
| კანადა | 4 | 1 | 0 | 18:6 | 9 |
| შვედეთი | 3 | 0 | 1 | 15:7 | 6 |
| რუსეთი | 2 | 0 | 3 | 16:14 | 4 |
| შვეიცარია | 2 | 0 | 3 | 12:11 | 4 |
| ლატვია | 1 | 0 | 3 | 6:14 | 2 |
| დანია | 0 | 1 | 3 | 6:21 | 1 |

**NBA PLAY OFF** მეორე წრე ოთხ მოგებამდე

# ცისფერი ყავა
## არგენტინული ფერი მუქ მორევში

5 მაისი

### დასავლეთი

**სან ანტონიო 1:0 ლეიკერსი**

**სან ანტონიო 87:82 ლეიკერსი**

**სან ანტონიო: პარკერი (9), ჯექსონი, ბოუენი (8), დანკანი (28), რობინსონი (14 ქულა, 11 მოხსნა); ჯინობილი (15), კლაქსტონი (6), როუზი (4), ვილისი (3), ფერი**

**ლეიკერსი: ფიშერი (10), ბრაიანტი (37), ჯორჯი (4), ჰორი (3 ქულა, 14 მოხსნა), ონილი (24 ქულა, 21 მოხსნა); შოუ (2), მადსენი (2), უოლკერი**

სერიის პირველი თამაში მოიგეს სანანტონიოელებმაც, თუმც კი ისინი, ნიუჯერსელებისგან განსხვავებით, მოჭარბებული ოპტიმიზმის შეტევას არ განიცდიან, რაკი იციან, ვისთან აქვთ საქმე. „ლოს ანჯელეს ლეიკერსი" ისე არ დაეცემა, ვილაცისგან — თუნდაც ის „სან ანტონიო" იყოს — გაითელოს.

„ჩვენ ჯერ კიდევ მთელი მთა უნდა ავიაროთ" — „სფურზის" ვეტერანი ცენტრი დევიდ რობინსონი ამ სეზონის შემდეგ პენსიაზე გადის და ეს ღვაწლმოსილი კაცი უარს არ იტყოდა, მისი მომდევნო თაობელი ვარსკვლავი შაკილ ონილი დაემარცხებინა (თავად შაკილი მუდმივად ღვარძლს ანთხევს რობინსონის მიმართ და ხშირადაც შეურაცხყოფს მას), თუმც მთამაკის კუნთების ამბავიც ვინძლო ყველაზე კარგადაც მოეხსენება. ბოლო ორ პლეი ოფში ონილმა ორჯერ აჯობა რობინსონს და „ლეიკერსმაც" ორჯერვე, სხვათა შორის, ზუსტად ამ ეტაპიდან გააგდო „სანანტონიო".

ზორბა შაკმა ამ თამაშშიც ბლომად პრობლემები შეუქმნა მასპინძლებს. მართალია, ჩაუქ თანაგუნდელ კობი ბრაიანტივით ბევრი ქულა არ მოუხვეჭია, მაგრამ, სამაგიეროდ, ვეება მხარბეჭით ამოავსო ჭარქვეშა სივრცე და აგერ, 21 ბურთიც მოხსნა. ამ ჯერზე სანანტონიოელმა „დეზებმა" მაინც მოახერხეს ამ ვეება პრობლემის გადაჭრა, შეტევაში ონილის ახლო-მახლო იმდენი იწრიალეს, მას პერსონალურები აჰკიდეს და თავიდან მოიშორეს. შაკი რომ გავარდა, მატჩის დამთავრებამდე სამიოდ წუთი რჩებოდა და „სფურზი" ერთი ქულით იგებდა. ასეთ ვითარებაში „ლეიკერსი" ყოველთვის საშიშია, დაჭრილი დათვივითაა, იმ განსხვავებით, რომ დათვზე უფრო მეტი შანსი აქვს, ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდეს. კობი ბრაიანტი შეუჩერებელი ხდება, თუმც ახლა ბოლო წუთები მისი კი არა, „სფურზის" არგენტინელი ახალბედას, ემანუელ ჯინობილისა იყო. მანუმ ორი ბურთი ჩაჭრა და ერთი უმნიშვნელოვანესი სამქულიანი ჩააგდო და დამთავრებამდე ორი წუთით ადრე სოლიდური უპირატესობით დააწინაურა მასპინძლები. ბრაიანტი არ ცხრებოდა, მან მიყოლებით ორჯერ გაისროლა შორიდან და სხვაობა სამ ქულამდე შეამცირა — 82:85, მაგრამ „ლეიკერსმა" ბოლო წუთზე ვეღარაფერი მოახერხა.

### აღმოსავლეთი

**ნიუ ჯერსი 1:0 ბოსტონი**

**ნიუ ჯერსი 97:93 ბოსტონი**

**ნიუ ჯერსი: კიდი (15), კიტლზი (17), ჯეფერსონი (13), მარტინი (21), კოლინზი (6); უილიამსი (12), როჯერსი (9), ჰარისი (4), ჯონსონი**

**ბოსტონი: დელკი (7), პირსი (34), მაკარტი (14), უოლკერი (14), ბათი (4); უილიამსი (15), ბრემერი (3), ბლუნტი (2), ლონგი**

ეჭვი არ არის, ბოსტონელი „კელტების" „მწვანე არმია" ბოლომდე იომებს, მაგრამ აქტუალური ისაა, რამდენ ხანს გაჰყვება ენერგია მათ წინამძღოლ პოლ პირსს. ასეთი თამაშები, როცა ლიდერს ყველაფერი გამოსდის, გუნდი კი მაინც მარცხდება, უეჭველია, დამთრგუნველად მოქმედებს. პირსმა მეტოქის ნახევარზე და აგროვა ბლომად ქულები, ჩასაგდებებიც და ძნელად ჩაყარა ჩასაგდებებიც, მაგრამ სულ ტყუილად. ის ყოველ თამაშში ვერ მოინაგრებს ამდენს და, როგორც წესი, თანდათან ნერვებიც მოეშლება.

„ორი კარგი გუნდი ყველაფერს აკეთებს, რათა ერთმა მეორეს საკუთარი თამაში მოახვიოს. დღეს ეს ვერც ერთმა ვერ შეძლით. მეტოქეს ბოლომდე ვერ ვაჯობეთ, მაგრამ გამარჯვება მაინც ჩვენია — ამბობს „ნიუ ჯერსის" ლიდერი ჯეისონ კიდი — ჩვენ სერია არ მოგვიგია, მაგრამ მოვიგეთ მნიშვნელოვანი თამაში".

ჯეისონ კიდს და კომპანიას აქვთ ბოსტონთან და მის ლიდერთან ბრძოლის გამოცდილება. შარშანდელ პლეი ოფში აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალში სწორედ ეს გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ „ნიუ ჯერსიმ" 4:2 იმარჯვა.




ახალბედა არგენტინელმა მანუ ჯინობილიმ „ლეიკერსს" მარცხი შეამთხვია

---

## რაგბი



ქართველი მოშვიდკაცეები რუსებს თბილისშიც შეერკინებიან

*საქართველოში შვიდკაცა რაგბი უცხო ხილი არ არის. მას ბორჯღალოსნებმა კარგა ხანია, გაუგეს გემო. ჩვენებმა 2001 წელს არგენტინულ მარ დე პლატაში გამართულ მსოფლიოს თასზე მე-10 ადგილიც დაიკავეს. იმ ტურნირზე ქართველები დებიუტანტები იყვნენ და მას მერე მსოფლიოს თასი არა, მაგრამ მსოფლიოს სერიის მრავალი ეტაპი გამოიარეს*

# თბილისური შვიდკაცური

**წლეულს**, 27-30 ივნისს, თბილისში საშვიდკაცო რაგბის ერთ-ერთი ევროპული ეტაპი გაიმართება. ამ შეჯიბრს ევროპაში რაგბის განვითარების ასოციაცია (AER) ატარებს. ეს არის წინარე ეტაპი ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირისა, რომელიც 16 აგვისტოს ჰაიდელბერგში გაიმართება.

ტურნირი, თავისთავად, ძალიან მიმზიდველი რამ არის და, რაც მთავარია, რაგბის პოპულარიზაციასთან ერთად ტურიზმის განვითარებასაც უწყობს ხელს.

თბილისში სხვადასხვა ქვეყნიდან რამდენიმე ასეულ ტურისტს ელიან. სამდღიან ტურნირში ითამაშებენ საქართველო, რუსეთი, იტალია, საფრანგეთი, რუმინეთი ისრაელი, სომხეთი ან მონაკო, უკრაინა, აზერბაიჯანი ან მოლდოვა.

შეჯიბრი „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართება. 12 გუნდი ორ ჯგუფად განაწილდება, ჯგუფებში ოთხ-ოთხი მოწინავე საპრიზო ადგილებისთვის განაგრძობს ბრძოლას.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს შვიდკაცა ნაკრებმა ამ ტურნირის წინა და იმავდროულად პირველი ეტაპზე, რომელიც ფრანგულ ლიუნელში გაიმართა, მასპინძელთა ნაკრები დაამარცხა და პირველ საეტაპო ქულები ჩაიწერა.

**ბაჩო სვანიძე**

**A ჯგუფი:** საქართველო; რუსეთი; ბულგარეთი; ისრაელი; რუმინეთი
**B ჯგუფი:** საფრანგეთი; იტალია სომხეთი ან მონაკო; აზერბაიჯანი ან მოლდოვა; უკრაინა

---

## ხელბურთი

### ევროთასების ფინალი. ვაჟები

**ჩემპიონთა ლიგა**

*მონპელიე (საფრანგეთი)* 19:27; 31:19 პორტლენდ სან ანტონიო (ესპანეთი)

**თასების მფლობელთა თასი**

*სიუდად რეალი (ესპანეთი)* 39:27; 24:24 რედბერგსლიდსი (შვედეთი)

**ევროპის ფედერაციის თასი**

*ბარსელონა (ესპანეთი)* 35:23; 33:26 ლუკოილ-დინამო (რუსეთი)

**ჩელენჯ კაპი**

*სკიერნ ჰანდბალი (დანია)* 27:30; 35:25 ფილიპოსი (საბერძნეთი)

# ფრანგული სენსაცია
## MON DIEU, MONTPELLIER!

**ევროპაში** მორიგი სახელბურთო სეზონი მთავრდება. გასარკვევი დარჩა ქალთა ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულის ვინაობა, ვაჟთა შორის კი ოთხივე თასის მფლობელი უკვე ცნობილია.

ჩემპიონთა ლიგის ფინალში ტიტულებით დახუნძლული ესპანური გრანდი „პორტლენდ სან ანტონიო" და ამ დონემდე პირველად აღზევებული ფრანგული „მონპელიე" შეიბნენ. პამპლონაში პირველმა მატჩმა საერთო ვარაუდი დაადასტურა — თასის შარშანწინდელმა მფლობელმა „პორტლენდმა" მეტოქეს რვაბურთიანი სხვაობით სძლია და ორთამაშიან სერიაში გამარჯვებული თითქოს გაირკვა, მაგრამ მონპელიეში ერთი კვირის შემდეგ მასპინძლებმა სასწაული მოახდინეს: უკვე პირველ ტაიმში გაანახევრეს ესპანური ჩამორჩენა, შესვენების შემდეგ კი მოედანზე ისეთი ცეცხლი დაანთეს, რომ მათ 17 გოლს მოწინააღმდეგემ მხოლოდ ცხრით უპასუხა და ფრანგულმა კლუბმა პირველად მოიპოვა ჩემპიონთა თასი. ტრადიციულად, მოწოდების სიმაღლეზე იდგა ლიგაში საუკეთესო „მონპელიეს" დაცვა, შეტევაში კი მიშელ გიგუმ (11 გოლი) და იუგოსლაველმა ლეგიონერებმა ნიკოლა კარაბატიჩმა (5) და მლადენ ბოიინოვიჩმა (5) იყოჩაღეს. ესპანელთა შორის ორივე მატჩში ყველაზე შედეგიანი ვეტერანი ბელარუსი მიხაილ იაკიმოვიჩი (10+4) იყო.



„მონპელიე" ევროლიგაში ტრიუმფს ზეიმობს

# პარლამენტურად


REUTERS ოსაკადან

ჩვენს პარლამენტში ჩხუბია, იაპონიიდან კი გიჟური ჭიდაობის, ჩვენთვის ოდესღაც კეტჩად ცნობილი სანახაობის სურათი მოვიდა. მაგან ატსუსი ონიტას თმებით უთრევია ჰიროში ჰასე. საინტერესო ამ მხეცურ თეატრში ის არის, რომ ორივე მოჭიდავე იაპონიის პარლამენტის წევრია.


REUTERS ლას ვეგასიდან

# მამა-შვილი

ლოს ანჯელესში მორიგი კინო პრემიერაა: თავისი მეგობრის, ედი მერფის ფილმის სანახავად მოსულა ახლო წარსულის დიადი მოკრივე შუგარ რეი ლეონარდი. ეს ანგელოზივით ბავშვი კი მისი ქალიშვილი დანიელი გახლავთ.


REUTERS ლოს ანჯელესიდან

# მარჯვენა

ამ უქმეების დიდი კრივობიდან ეს სურათი გამოირჩა: საბჭოს (ვბკ) ქამრისთვის ბრძოლაში ერიკ მორალესმა აი, ამ შემართული მარჯვენით დასცა ფერნანდო ველარდესი. ნოკაუტი ტექნიკური იყო და ექიმ მარგარეტ გუდმანსაც სამუშაო ჰქონდა. ამბავი მექსიკაში, ტიხუანაში გათამაშდა.


REUTERS პორტლენდიდან

# გოლიათთა დარდები

აი, როგორ ვაგებთ: სხვა არას ნიშნავს სევდიან დალასელ გოლიათთა იერი. „მავერიკსი“ საპლეიოფო მატჩში მარცხდება „პორტლენდ თრეილ ბლეიზერზთან“ და დირკ ნოვიცკი (მარცხნივ), ედუარდო ნახერა და შონ ბრედლი მეტად განიცდიან. ენბიეის საპლეიოფო ვნებებიდან უკვე შორსაა ჩინელი ვარსკვლავი იაო მინგი, რომელიც შანხაის ჩასულა და სამხედრო ექიმთა პროვინციებში გაცილების ცერემონიალს ესწრება. სახელმწიფო პროგრამის მიხედვით, ეს ექიმები ატიპიურ ვირუსთან საბრძოლველად მიეშურებიან.


REUTERS შანხაიდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია აზველდიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოღუნჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გიზილიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფიფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge